ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ადამიანის სხეულის ნაწილების კერძოსამართლებრივი ობიექტივიზაცია

თამარ ჯავახიშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2019

სარჩევი

შესავალი 3

1. ობიექტივიზაციის არსი და მისი მორალური შეფასება 4

1.1 პირი (სუბიექტი) 5

1.2 ქონება (ობიექტი) 5

1.3. ისტორიული მიმოხილვა 8

1.4. ადამიანის სხეული როგორც ნივთი 8

1.5. ცხოველი 9

1.6. ადამიანის სხეულის ნაწილები როგორც ნივთები 10

1.7 მორალური შეფასება 11

2. ადამიანის სხეულის ნაწილების კერძოსამართლებრივი ობიექტივიზაციის ცალკეული შემთხვევები. 12

2.1 საკუთრების უფლება თვითგანახლებად ქსოვილებზე 12

2.1.1. თმა, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი 13

2.1.2 სისხლი, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი 14

2.1.3. რეპროდუქციული ფუნქციის შემსრულებელი ბიოლოგიური სითხე 17

2.2. ადამიანის სხეულის ორგანოების ტრანსპლანტაციის სამართლებრივი მოწესრიგება 28

2.2.1. ტრანსპლანტაციის სუბიექტთა უფლებები 31

2.3. გვამი, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი 41

2.3.1. გვამი, როგორც კვაზი საკუთრება 41

2.3.2. გვამზე საკუთრების უფლების არსებობა, პიროვნების შრომისა და უნარების საფუძველზე 46

დასკვნა 49

ბიბლიოგრაფია 53

შესავალი

მსოფლიო დონის მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა არის თუ არა ადამიანი საკუთარი სხეულის მესაკუთრე. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კითხვაზე განსხვავებული პასუხები არსებობს. ერთი ჯგუფი კატეგორიულად უარყოფს სხეულზე საკუთრების უფლებას. ისინი თვლიან, რომ ამ უფლების აღიარებამ შეიძლება მიგვიყვანოს კრიმინალურ კომერციალიზაციამდე.[1] სხვები თვლიან, რომ აუცილებელია, ვაღიაროთ ადამიანის საკუთრების უფლება როგორც მთელს თავის სხეულზე, ასევე ნებისმიერ ორგანოზე.[2] ადამიანის სხეული ზოგჯერ მიჩნეულია საკუთრებად, ზოგჯერ კვაზი-საკუთრებად, ზოგჯერ კი საერთოდ არ განიხილება საკუთრების უფლების დაცვის საგნად და ადამიანმა მისი სხეულის მიმართ უკანონო ქმედების განხორციელების შემთხვევაში უფლებები უნდა დაიცვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესაბამისი ნორმებით.[3]

ნათლად შეიმჩნევა კანონმდებლობაში კერძო სამართალზე ძირითადი უფლებების გავლენის ტენდენცია. ამის საფუძველზე განსახილველია ადამიანის სხეულის და მისი ცალკეული ნაწილების სამართლებრივი რეჟიმი.

ადამიანს დაბადებიდანვე გააჩნია გარკვეული სახის უფლებები. სიცოცხლისა და საკუთრების უფლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებებად უნდა გამოიყოს. საკუთრება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც დაბადებიდანვე გააჩნია. მისი არსებობა პირის უფლებაუნარიანობაზეა დამოკიდებული.[4] ადამიანი ყველა დროში საკუთრების უფლებას განსაკუთრებულად აღიქვამდა. საკუთრების შინაარსი, ცნებისაგან განსხვავებით, ცვალებადია დროში და იგი დამოკიდებულია თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებებზე.[5] ,,საკუთრების უფლების ბუნებითმა ხასიათმა შობა ამ საკუთრების ხელშეუხებლობის მდგომარეობა. ხელშეუხებლობის ფსიქოლოგია ისტორიულად იმდენად ძლიერი იყო, რომ საკუთრების

---

[1] Gerike P. A., Human Biological Material: A Properity interest of Part of Monistic Being, 17 OHIO N.U.L REV, 1991, 805

[2] Boulir W., Sprem, Spleens and others valuables: The need recognize property rights in human body parts, Hofstra Law Review, Vol. 23 Issue 3, Spring, 1995, 693-731.

[3] Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 363.

[4] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 85.

[5] ზოიძე თ., საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი, ჟურნალი კერძო სამართლის მიმოხილვა, N1, 2015, 26.

ხელყოფა აღიქმებოდა არანაკლებ, ვიდრე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა".[6] აქედან გამომდინარე, საინტერესოა ადამიანის სხეულის, როგორც საკუთრების უფლების ობიექტის, განხილვა.

მსოფლიოში ბიოლოგია და მედიცინა საგრძნობლად წინ წავიდა და განვითარდა. დღესდღეობით სიცოცხლის გადარჩენის, განკურნების, დაავადების პროგრესირების შეფერხების ან ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად შესაძლებელია ერთი ადამიანის სხეულის ორგანოების სხვა ადამიანისთვის გადანერგვა.[7] მედიცინაში სულ უფრო და უფრო ვითარდება ტრანსპლანტაციის მეთოდი, რომელმაც შეიძლება მიიღოს კომერციალიზაციის სახე. სწორედ ამ შედეგის თავიდან აცილების მიზნით კანონმდებლობაში განსაზღვრულია რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ცოცალი ადამიანი დონორი და როდის შეიძლება გარდაცვლილი ადამიანის ორგანოს ტრანსპლანტაციისთვის გამოყენება.

ყველა ადამიანს გააჩნია ღირსება. შესაბამისად ჩნდება კითხვა, ღირსების პარალელურად შესაძლებელია თუ არა ადამიანი წარმოადგენდეს საკუთრების უფლების ობიექტს. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანის სხეულის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ასევე, ადამიანის სხეულის, ორგანოების, ორგანოთა ნაწილების და ქსოვილების ობიექტივიზაციის შემთხვევები. მოცემული იქნება შედარებით-სამართლებრივი ანალიზი სხვადასხვა სახელმწიფოების პრაქტიკასთან მიმართებით, თუ რა შემთხვევაში აღიარეს და უარჰყვეს საკუთრების უფლების არსებობა ადამიანის სხეულის ნაწილებზე.

1. ობიექტივიზაციის არსი და მისი მორალური შეფასება

ადამიანის სხეული და სხეულის ნაწილები მიეკუთვნება თუ არა კერძო სამართლის ობიექტს, ამ საკითხის ირგვლივ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. იმისათვის, რომ გაირკვეს შესაძლებელია თუ არა ადამიანის სხეულისა და სხეულის ნაწილების ობიექტივიზაცია, პირველ რიგში უნდა გაირკვეს კერძო სამართლის რომელ სისტემურ ცნებას განეკუთვნებიან ისინი.

---

[6] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა ,,მერიდიანი" თბილისი, 2003, 86.

[7] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" მე-3 მუხლის „ვ" პუნქტი.

კერძო სამართლის სამი ძირითადი ელემენტი არსებობს: პირი (სუბიექტი), ქონება (ობიექტი) და მოქმედება (მოქმედების თავისუფლება).[8]

1.1 პირი (სუბიექტი)

„ადამიანის პიროვნების პატივისცემის, თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის გამოხატულებაა სისტემური ცნება "პირი". „პირებად" იწოდებიან კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები - კერძო სამართლის სუბიექტები."[9] „სამართლის ფარგლებში ადამიანი განსაზღვრავს საკუთარ თავს და მას „სამართლის სუბიექტად" მოიხსენიებს."[10]

კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს, როგოც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.[11] ფიზიკური პირები მთელი რიგი უფლებებით არიან აღჭურვილნი, რომელთა აღიარებაც ხდება სახელმწიფოს მხრიდან, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ფასეულობა. „მსოფლიო სამართლებრივი კონსტრუქცია თავად ადამიანებმა შექმნეს იმ შეგნებით, რომ იგი თავს უპირატესად გრძნობს თავის გარემომცველ სამყაროში, რომლის გაკონტროლებაც მას შეუძლია. სწორედ ამ გარემომცველი სამყაროს ნაწილია ნივთები."[12] მხოლოდ ადამიანს შესწევს უნარი ეს ნივთები განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, ფლობდეს და ასევე სარგებლობდეს ამ ნივთებით. ადამიანს, კონსტიტუციის 19-ე მუხლი ანიჭებს საკუთრების შეძენის, გასხვისებისა თუ მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას. ადამიანის სამართლებრივი სტატუსი ეჭვგარეშეა, თუმცა ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ადამიანის სხეული და სხეულის ნაწილები მივიჩნიოთ ნივთებად.

1.2 ქონება (ობიექტი)

სამართლის თეორიაში ობიექტი, ჩვეულებრივ, სამართლებრივი ურთიერთობების კონსტრუქციის ერთ-ერთ ელემენტად განიხილება, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ობიექტი არ განეკუთვნება სამართლებრივი

---

[8] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 5.

[9] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 6.

[10] ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბილისი, 2016, 9.

[11] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

[12] ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბილისი, 2016, 9.

ურთიერთობის სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს, არამედ სცდება მისი სისტემური ცნების ფარგლებს და ობიექტური ფორმით წარმოადგენს მატერიალური სამყაროს რეალურ ნივთებსა და სულიერი შემოქმედების პროდუქტს.[13]

ობიექტის კატეგორიის აღსანიშნავად დოქტრინაში ხშირად გამოიყენება ტერმინი ,,უფლების ობიექტი". უფლება ინტერესის განხორციელების შესაძლებლობაა, ხოლო ინტერესის განხორციელება გულისხმობს რაიმე საშუალებით სარგებლობას, ამდენად, უფლების ობიექტი არის ის, რისი საშუალებითაც ინტერესი პოულობს თავის განხორციელებას.[14]

ინდივიდის მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარე, მისი მოქმედებისა თუ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ,,ობიექტი" არის ყველაფერი, რაზეც მიმართულია ინდივიდის სუბიექტური უფლება.[15] შეიძლება ითქვას, რომ ობიექტი ის მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთეა, რომლის გამოყენებითა და წარმოდგენით ხდება უფლებამოსილი პირის ინტერესის დაკმაყოფილება.[16]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლი განმარტავს, რომ „კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი და არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული."[17] ამ მუხლთან ერთად აუცილებლად უნდა განვიხილოთ სსკ-ის 147-ე მუხლი, რომელშიც ქონების ცნებაა მოცემული და უფრო მეტად აკონკრეტებს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს. ობიექტის ცნებას არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და იგი 147-ე მუხლში მოცემული ქონების ცნების იდენტურია. „ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება

[13] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 38.

[14] ვაჩეიშვილი ა., სამართლის ზოგადი თეორია, გამყრელიძე ო., მარინაშვილი მ. (რედ.), თბ., 2010, 196 მითით. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 39.

[15] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 183.

[16] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 40.

[17] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-7 მუხლი.

შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“[18]

ობიექტების ორი დიდი ჯგუფი არსებობს: ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები.[19] გერმანული სამოქალაქო კოდექსი ობიექტის ასეთ დაყოფას არ იცნობს და ის ნივთის ცნების ქვეშ მხოლოდ სხეულებრივ საგნებს განამტკიცებს.

ქონება არის სიკეთე, რომელზეც მიმართულია სუბიექტის მოქმედების თავისუფლება. ეს ცნება მოიცავს ყველა სიკეთეს, რომელთა მიმართაც მოქმედებს კონსტიტუციით გარანდირებული საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები. „მის სინონიმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცნება: კერძო სამართლის ობიექტი.“[20] „ქონება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნულობისგან იმიჯნება და მასში მოიაზრება ყველაფერი ის, რაზეც შესაძლებელია ადამიანის ნების ზემოქმედება.“[21]

„ნივთები იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნები.“[22] შესაბამისად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ნივთი, რომელიც ბრუნვაუნარიანია და მასზე ინდივიდის უფლების არსებობა კანონით არ არის აკრძალული. შესაბამისად, ქონება შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაზეც ადამიანის სუბიექტური უფლება შეიძლება არსებობდეს.

ჩნდება კითხვა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება თუ არა ადამიანის სხეული ან სხეულის ნაწილები მივიჩნიოთ ნივთებად, სამართლის ობიექტებად. ერთი შეხედვით ადამიანის სხეული ბევრ ზემოაღნიშნულ თვისებას ფლობს, რის საფუძველზეც შეიძლება ადამიანის სხეულის ნივთად მიჩნევა. მიუხედავად

---

[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 147-ე მუხლი.

[19] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 140.

[20] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 7.

[21] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 184.

[22] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 26.

ამისა, ადამიანის სხეულის განხილვა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად არ შეიძლება[23], რის გამოც მისი ობიექტივიზაციის საკითხი ბუნდოვანია.

1.3. ისტორიული მიმოხილვა

საინტერესოა, რომის სამართლის მიხედვით პირების სამართლებრივი მდგომარეობა. რომაულმა სამართალმა ღრმად გააანალიზა კერძო პირის, ადამიანის, ანუ პერსონას უფლებრივი მდგომარეობა, მისი სტატუსი. რომაული სამართალი ადამიანს მიიჩნევს ისეთ არსებად, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უფლებები, ე.ი გახდეს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტი. რომაული სამართლით ასეთი დაყოფა ყველა ადამიანს როდი შეიძლება მიენიჭოს; მაგალითად, „მონები იწოდებიან მოლაპარაკე იარაღად, რომლებსაც არ შეიძლება ჰქონდეთ სამოქალაქო უფლებები. მონები სამართლის სუბიექტებად კი არა, სამართლის ობიექტებად, ანუ ნივთებად ითვლებოდნენ.“[24] Res (რეს) რომის სამართალში ნივთებს ნიშნავდა. Res mancipi (რეს მანციპი) კი ისეთი ნივთები იყო, რომლებშიც „შედიოდა მიწები, ამ მიწებზე დასახლებული მონები, მიწის დასამუშავებლად განკუთვნილი პირუტყვი, ასევე შენობები.“[25] „რომაელი იურისტების აზრით, რომში მონებს ისეთი ადგილი ეკავათ, როგორც საკუთრების უფლების ყველა სხვა ობიექტს“. მონათმფლობელს უფლება ჰქონდა ზუსტად ისე მოპყრობოდა მონას, როგორც ობიექტს. შეეძლო მისი გაყიდვა, გადაცვლა, გაჩუქება, გაქირავება და სხვა.[26]

ასევე, რამდენიმე საუკუნის წინ ინგლისში ქალები და ბავშვები მიიჩნეოდნენ მამაკაცის მოძრავ ქონებად, მის საკუთრებად.[27] შოტლანდიაში კი მონობა XVIII საუკუნეში გაუქმდა, თუმცა ის ფაქტი, რომ სხვას არ შეუძლია თქვენს სხეულზე საკუთრება გააჩნდეს, არ ნიშნავს, რომ თქვენც არ შეგიძლიათ.[28]

1.4. ადამიანის სხეული როგორც ნივთი

---

[23] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 26.

[24] მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), მერიდიანი, თბილისი, 2012, 49.

[25] მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), მერიდიანი, თბილისი, 2012, 58-59.

[26] მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), მერიდიანი, თბილისი, 2012, 55.

[27] Brahams D., Editorial: Body Parts as Property, Medico-Legal Journal, Vol. 66 Part 2, 1998, 45.

[28] Niall R. Whitty, Rights of Personality, Property Rights and the Human Body in Scots Law, Edinburgh Law Review, Vol. 9, Issue 2 (May 2005), 222.

თუ დღეს ადამიანის სხეულს ობიექტად განვიხილავთ, მჭიდრო კავშირს დავამყარებთ რომის სამართალთან, რის მიხედვითაც ადამიანს (მონას), როგორც ობიექტს, უფლებები არ უნდა გააჩნდეს. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ადმაიანის სხეული არ შეიძლება მივიჩნიოთ ნივთად, რამდენადაც ადამიანს გააჩნია კონსტიტუციის მე-9 მუხლით გარანტირებული ღირსების უფლება, რომელიც ხელშეუვალია. თუ მოხდება ადამიანის სხეულის ნივთად აღქმა, მაშინ ეს გამოიწვევს ადამიანის ღირსების შელახვას. ასეთ შემთხვევაში, კონსტიტუციის მე-9 მუხლის არსებობას აზრი ეკარგება, რამდენადაც ადამიანის ღირსების დაცვა შეუძლებელი გახდება. ადამიანი მონასთან გაიგივდება, როდესაც „ერთი პირი ბუნების საწინააღმდეგოდ მეორე პირის ბატონობას ემორჩილება."[29] ადამიანს თავად გააჩნია ნივთების ფლობის, განკარგვისა და სარგებლობის უფლება.

1.5. ცხოველი

სულიერ არსებას წარმოადგენს ცხოველიც, თუმცა სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი მათ შესახებ. იქიდან გამომდინარე, რომ ცხოველს არ გააჩნია ღირსება, მას განიხილავენ, როგორც სამართლის ობიექტს.[30] „ცხოველებზე, ჩვეულებრივ ვრცელდება ნივთების მიმართ მოქმედი წესები".[31] გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გარკვევით წერია, რომ „ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს".[32] თუმა გერმანელები ცხოველებს პირებად მაინც არ მიიჩნევენ. მათი სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება განსხვავებულად ხდება. სამწუხაროდ ქართულ სამართალში მსგავსი ჩანაწერი არ გაგვაჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენადაც ადამიანი სულიერი არსებაა, არ ნიშნავს, რომ ეს გვიშლის ხელს ადამიანის სხეულის ნივთად მიჩნევაში. ღირსების უფლების არსებობის გამო ადამიანის სხეულის ნივთად მიჩნევის საკითხი ბუნდოვანია.

---

[29] სურგულაძე ნ., რომის სამართლის ძეგლები: იუსტინიანეს ინსტიტუციები, მერიდიანი, თბილისი, 2002, 16

[30] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 207.

[31] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 207.

[32] ჭეჭელაშვილი ზ., (მთარგმ.) გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, „სიესტა", თბილისი, 2010, §90ა.

1.6. ადამიანის სხეულის ნაწილები როგორც ნივთები

საინტერესოა საკუთრების უფლების საკითხი ადამიანის სხეულის შინაგან ნაწილებზე და სხეულის გარეთა ნაწილებზე. ანუ ჩნდება კითხვა: საკუთარი სხეულის რომელ ნაწილებზე შეიძლება ჰქონდეს ადამიანს საკუთრების უფლება ან სხვა ადამიანის სხეულის რომელ ნაწილებზე შეიძლება გააჩნდეს საკუთრება.

ადამიანი არის ძირითადი უფლებების სუბიექტი და არა ობიექტი.[33] შესაბამისად, ადამიანის ორგანოს ნაწილების შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ სანამ ორგანოები ადამიანის სხეულს ეკუთვნის მათი ნივთებად განხილვა არ შეიძლება, ხოლო მას შემდეგ, რაც ისინი ადამიანის სხეულს მოშორდებიან, მაგალითად ტრანსპლანტაციის მიზნით, ისინი უკვე ნივთებად იქცევიან.[34] „ცოცხალი ადამიანის სხეულს მოცილებული ნაწილები შეიძლება განვიხილოთ როგორც ნივთები, რომელთა ბრუნვა შესაძლებელია".[35] საინტერესოა რა რეგულაციები გავრცელდება თვითგანახლებადი ქსოვილების შემთხვევაში, რომლებიც სხეულებრიობას მოკლებულები არიან. „ადამიანის სხეულს მოშორებული, გამოყოფილი და ამით დამოუკიდებელ სუბსტანციად ქცეული სხეულის ნაწილები, როგორიცაა ამოღებული კბილები, თმები, ჩაბარებული სისხლი, სპერმა და კვერცხუჯრედები - შესაძლებელია იყოს საკუთრების უფლების ობიექტები, როგორც ნივთები".[36] ადამიანის სხეულის ნაწილების ნივთებად მიჩნევამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანოებით ვაჭრობის გახშირება, რაც ქართული კანონმდებლობით აკრძალულია. თუმცა, ტრანსპლანტაციის მიზნით, სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ორგანოს გადანერგვა დაშვებულია „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" კანონის მიხედვით.

კანონი გვაძლევს უფლებას ვფლობდეთ საკუთარ სხეულს და დავიცვათ იგი სხვა პირთა მხრიდან მისი ხელყოფისაგან. რაც შეეხება სხვა ადამიანის სხეულზე საკუთრების უფლებას, ამ შემთხვევაში ჩვენი უფლებები შეზღუდულია.

---

[33] Niall R. Whitty, Rights of Personality, Property Rights and the Human Body in Scots Law, Edinburgh Law Review, Vol. 9, Issue 2 (May 2005), 222.

[34] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2011, 142.

[35] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2003, 27.

[36] ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბილისი, 2016, 102, მითით. Van Erp.S, Cases, Materials and Text on Property Law (eds, Van Erp.S, akkermans. B), Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2012, 40.

კანონი ახლობლებს აძლევს კვაზი საკუთრების უფლებას გარდაცვლილის სხეულზე მისი დაკრძალვის მიზნი, სხეულის დაზიანების შემხთვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, და უფლებას დაკრძალვის წესსა და ადგილის განსაზღვრისა. მაგრამ ეს უფლებას არ აძლევს ახლობლებს გაყიდონ გარდაცვლილის მთლიანი სხეული ან სხეულის ნაწილები.

1.7 მორალური შეფასება

საკუთრება განიხილება, როგორც „უფლებების ერთიანობა", რომელიც მოიცავს საკუთრების ქონის უფლებას, გამოყენების, მოგების მიღებისა და განკარგვის უფლებებს.[37] თუ ადამიანის სხეულის ნაწილებს ნივთებად, საკუთრების უფლების ობიექტად განვიხილავთ, ბევრი კითხვა გაჩნდება ადამიანის სხეულის ნაწილებისა და ქსოვილების შენახვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ვინ შეიძლება ფლობდეს მათ და ვის აქვს მათზე უფლება? შეიძლება თუ არა მათი ყიდვა თუ გაყიდვა; მოპარვა თუ მემკვიდრეობით გადაცემა?[38] შეუძლია თუ არა ადამიანს მოითხოვოს თავისი ამპუტირებული კიდურის დაბრუნება და სახლში წაღება? აქვს თუ არა ახალ ნამშობიარებ ქალს პლაცენტის წაღების უფლება? სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი სხეულის ნაწილების შემდგომი შენახვა და მოვლა. ადამიანს, რომლისგანაც ეს ორგანოები იქნა ამოღებული არ აქვს უფლება მათი უკან მოთხოვნისა. თუმცა, როდესაც საქმე გარდაცვლილი ადამიანის სხეულის ნაწილებს ეხება, ნათესავებს რელიგიური ან საზოგადოებრივი მოლოდინიდან გამომდინარე დასამარხად ან კრემაციისთვის უფლება აქვთ ამ სხეულის ნაწილების მოთხოვნისა. თუ არსებობს მოთხოვნა ცოცხალი ადამიანის სხეულის ნაწილების დაბრუნებაზე, სამედიცინო დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ არ არსებობს საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი რისკი.[39] აუცილებლად უნდა შეფასდეს, ეთიკურად და მორალურად რამდენად გამართლებულია ადამიანის ამოღებული სხეულის ნაწილები მასთან სახლში ინახებოდეს. სხეულის ისეთი ნაწილების, როგორებიცაა თმები და კბილები,

---

[37] Hylton K.N., Property rights and the Human body, encyvlopedia.com <https://www.encyclopedia.com/politics/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/property-rights-and-human-body> [25.05.2019]

[38] Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 104.

[39] Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 119.

შენახვა შეიძლება არც იყოს არაეთიკური. თუმცა თირკმლისა თუ ამპუტირებული კიდურის შენახვა ვერ იქნება გამართლებული მორალური თვალსაზრისით.

2. ადამიანის სხეულის ნაწილების კერძოსამართლებრივი ობიექტივიზაციის ცალკეული შემთხვევები.

2.1 საკუთრების უფლება თვითგანახლებად ქსოვილებზე

თვითგანახლებადია ქსოვილი, რომელთა სხეულიდან მოცილებაც არ იწვევს არსებით დაზიანებას ადამიანისთვის და ორგანიზმს აქვს ამ ქსოვილების აღდგენის შესაძლებლობა. თვითგანახლებადი ქსოვილები არის როგორც სხეულის გარეთ - ფრჩხილები, თმები, ასევე სხეულის შიგნით - სისხლი, ძვლის ტვინი და სხვა.[40] ხოლო გული, თირკმელი, ღვიძლი, თავის ტვინი, რქოვანა, თვალის კაკალი, ძვალი და სხვა, არ წარმოადგენენ თვითგანახლებად ქსოვილებს.[41] მათი ადამიანის ორგანიზმიდან მოცილებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება, ან საფრთხე შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს.

საინტერესოა, რომ თვითგანახლებადი ქსოვილები აღიარებულ იქნა საკუთრების უფლების ობიექტად, როდესაც ადამიანის სხეულის სხვა ნაწილებს ეს სტატუსი არ ერგოთ.[42] ობიექტად აღიარების მთავარი განმსაზღვრელი ქსოვილის თვითგანახლების უნარი აღმოჩნდა. მათი ორგანიზმიდან მოშორებით არანაირი ზიანი ადამიანის არც სიცოცხლესა და არც ჯანმრთელობას არ ადგება. თმის ან ფრჩილის მოჭრის შემთხვევაში ადამიანის სხეული ზიანს არ განიცდის, გარკვეული პერიოდის შემდეგ თმაც და ფრჩხილიც აღდგება, თავიდან გაიზრდება. ამით განსხვავდება მათი ბუნება თირკმლისგან. თირკმლის ამოღება შესაძლებელია, მაგრამ ის აღარ აღდგება. ადამიანები ორი თირკმლით იბადებიან, თუმცა ერთი თირკმლითაც შეუძლიათ

[40] Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012 , 76.

[41] Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012 , 76-77.

[42] George A., Property in the Human Body & Its Parts Reflections an Self-Determination in Liberal Society, European University Institute, Working Paper Law № 2001/8, Florence, 2001, 42.

იცხოვრონ.[43] თუმცა, თუ მეორე თირკმელიც დაზიანდება, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნება. სწორედ ამიტომ, რომ თირკმელს არ გააჩნია თვითგანახლების უნარი, იგი არ არის მიჩნეული ობიექტად.

ასევე, ორივე თვალის კაკლის დაზიანების შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნება, თუმცა ადამიანს აღარ შეეძლება სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელება, რამდენადაც თვალის კაკალი არ არის თვითგანახლებადი ქსოვილი.

2.1.1. თმა, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი

შესაძლებელია ადამიანის თმა განვიხილოთ საკუთრების უფლების ობიექტად. ინგლისსა და ავსტრალიაში მიჩნეულია, რომ არ არსებობს საფუძველი ადამიანებს აეკრძალოთ თმის ყიდვა, გაყიდვა ან საკუთრების უფლების წარმოშობა მასზე. თმა, ისევე როგორც ადამიანის ორგანიზმიდან მოცილებული ფრჩხილი, არ წარმოადგენს ცოცხალ ქსოვილს და მისი მოცილებაც არანაირი საფრთხის შემცველი არ არის ადამიანის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისთვის. როდესაც რეციპიენტისთვის ხდება ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაცია, აუცილებელია კონტროლისა და დაცვის განხორციელება, რათა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ შეექმნას. რამდენადაც ადამიანი არანაირ ზიანს არ იღებს თმის მოჭრის დროს, შესაბამისად არ არსებობს საჭიროება იგივე ხარისხის კონტროლი და დაცვა იქნას განხორციელებული.[44]

ადამიანის სხეულს მოცილებული ქსოვილები განეკუთვნებიან მოძრავ ქონებას, რომლის ფლობაც შესაძლებელია. ამით სამართალი გვერდით უდგას თანამედროვე მეცნიერებას. თუ ქსოვილი მოძრავ ნივთად არ იქნება მიჩნეული, მაშინ ადამიანს, რომელიც მოიპარავს სპერმას ლაბორატორიიდან, ვერ დავსჯით ქურდობისთვის, რამდენადაც ქურდობა მხოლოდ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია; კიბოთი დაავადებული ადამიანი ვერ

[43] George A., Property in the Human Body & Its Parts Reflections an Self-Determination in Liberal Society, European University Institute, Working Paper Law № 2001/8, Florence, 2001, 43.

[44] Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new laws, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 120.

შეძლებს შეჭრილი თმის შენახვას, რათა შემდგომ მისგან პარიკი დაამზადოს, რამდენადაც ის ასეთ შემთხვევაში ვერ იქნება თმის მესაკუთრე.[45]

ადამიანის სხეულიდან მოცილებული თმა მიჩნეულია ქონებად. მაგალითად აშშ-ში ადაიანის თმისგან დამზადებული პარიკი წარმოადგენს ქონებას, რომლიც მოპარვაც შესაძლებელია. ინგლისში ადამიანის თანხმობის გარეშე მისი თავიდან თმის მოჭრა და მოპარვა არის ქურდობა.[46]

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც ეწინააღმდეგება თმაზე საკუთრების უფლების გავრცელებას. თუ თმას საკუთრების უფლების ობიექტად განვიხილავთ, მაშინ ადამიანის სხეულიდან ბუნებრივად ჩამოცვენილი თმის სხვა ადამიანის მიერ შეგროვება და აღება თანხმობის გარეშე, სხვისი მოძრავი ქონების დაუფლებად - ქურდობად უნდა განვიხილოთ. კანონმა უნდა დაიცვას ადამიანი მისი სხეულის ნაწილების უკანონო გამოყენებისგან, რისთვისაც თმაზე ან სხეულის სხვა ნაწილზე საკუთრების უფლების არსებობა არ არის საჭირო. მისი დაცვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნორმებით უფრო შესაძლებელია ვიდრე საკუთრების უფლებით.[47]

2.1.2 სისხლი, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი

საქართველოში სისხლის დონორობის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონი „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“. დონორობა შეუძლია ყველა ქმედუნარიან მოქალაქეს 18-დან 65 წლამდე, რომელსაც შემოწმების შედეგად არ აღმოაჩნდება დონორობისთვის საწინააღმდეგო ჩვენებები.[48] მოქალაქეს სისხლის ჩაბარება შეუძლია როგორც ქველმოქმედების წესით (უგასამრჯელოდ), ასევე ნათესავებისათვის, ფულადი ანაზღაურებით (კადრის დონორი), დაზღვევის, საკუთარი სისხლის შენახვის

[45] Barry V., Farman O., Human tissues as moveable property, 2016, <https://www.nortonrosefulbright.com/en/knowledge/publications/19138ccf/human-tissues-as-moveable-property> [18.06.2019]

[46] Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012 , 77.

[47] Skene L., Arguments against people "owning" their own bodies, body parts and tissue, Macquarie Law Journal, 2002, 165-176.

[48] საქართველოში სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონი „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“.

მიზნით.[49] სისხლის გადასხმისას არ არის აუცილებელი ნათესაური კავშირი არსებობდეს რეციპიენტსა და დონორს შორის, როგორც ეს ცოცხალი დონორის ორგანოს გადანერგვისას არის აუცილებელი.[50]

სისხლი ადამიანის იმ ქსოვილთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც განახლების უნარი გააჩნია. სწორედ ამიტომ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დონორი არ არის გენეტიკური ნათესავი, სისხლის გადასხმა სხვა ადამიანისათვის შესაძლებელია. სისხლი წარმოადგენს კომერციული გარიგების საგანს. სისხლის ჩაბარებისას დონორს გადაეცემა გასამრჯელო, როგორც სისხლის სანაცვლოდ საფასური, ასევე, როგორც ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სისხლის სამართლის კოდექსით იკრძალება მხოლოდ უკანონო ვაჭრობა, ხოლო კანონმდებლობის შესაბამისად სისხლითა და მისი კომპონენტებით ვაჭრობა აკრძალული არ არის.[51]

სისხლი მიჩნეულია ისეთ პროდუქტად, რომლის ყიდვაც და გაყიდვაც არის შესაძლებელი.[52] სისხლი ყოველთვის არ ითვლებოდა ქონებად. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის გადასხმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ სამედიცინო მკურნალობის მიზნით, არ ითვლება გაყიდვად საგარანტიო სამართლის მიზნებისთვის და აღნიშნა, რომ სისხლი არ წარმოადგენდა ვაჭრობისთვის შესაფერის ობიექტს.[53]

დროთა განმავლობაში, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სისხლი წარმოადგენდა ქონებას. ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, მარგარეტ გრინი ყიდდა თავის უიშვიათეს სისხლს (AB-უარყოფითი სისხლი), რომელიც მის საარსებო წყაროდ იქცა. ნიუ-იორკის საგადასახადო სასამართლომ სისხლი მატერიალურ პროდუქტად მიიჩნია, როგორც სხვა პროდუქტები - კვერცხი, რძე და თაფლი და აღნიშნა, რომ ქალბატონი მარგარეტისთვის მის მიერ სისხლის რეალიზაცია წარმოადგენდა საგადასახადო მიზნებისთვის - შემოსავალს, როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობიდან მიღებული

[49] საქართველოს კანონი „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

[50] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 116-ე მუხლი.

[51] ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მერიდიანი, თბილისი, 2019, 224-225.

[52] Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 371.

[53] Gussie Perlmutter v. Beth David Hospital and Third-party Plaintiff Blood Transfusion Association, Court of Appeals of the State of New-York, December 31, 1954. მითით. Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 371-372.

შემოსავლისა, როგორიცაა ქათმისგან კვერცხი, ფუტკრისგან თაფლი, ძროხისგან რძე ან ცხვრისგან მატყლი. მართალია, ადამიანის სხეული ტრადიციულად მიჩნეულია სიწმინდედ, მაინც არ არსებობს არანაირი იურიდიული საფუძველი სისხლი განვასხვავოთ ზემოჩამოთვლილი პროდუქტებისგან.[54] შესაბამისად, სისხლი განიხილება როგორს ქონება, რომლის რეალიზაციაც არის შესაძლებელი, და იგი წარმოადგენს საკუთრების ობიექტს.[55]

ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს გაყიდული სისხლის ხარისხი. ადმიანებს, რომლებიც სისხლის ჩაბარებაში ფულს იღებენ, შეიძლება დამალონ დაავადებები ან რაიმე ნიშან-თვისება, რომელიც მისი სისხლის ხარისხს საეჭვოს გახდის.[56] თუმცა, ადამიანის სხეულიდან აღებული ქსოვილის მიმართ თუ საკუთრების უფლებას გავავრცელებთ, მაშინ დონორს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს უხარისხო პროდუქტის მიწოდებისთვის.[57] უხარისხო პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას სსკ-ის 1009-1016 მუხლები - პასუხისმგებლობა წუდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და თავის გადაწყვეტილებებში[58] სისხლი განიხილა როგორც პროდუქტი და გამოიყენა სსკ-ის 1009-1016 მუხლები. პროდუქტი წუნდებულად მიიჩნევა, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან.[59] ხოლო, პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპოვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“ ასევე მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს,

---

[54] Margaret Cramer Green v. Commissioner of Internal Revenue, Docket № 6183-78, United States Tax Court, September 15, 1980. *მითით*. Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 372.

[55] Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 373.

[56] Andrews L.B., My Body, My Property, The Hastings Center Report, Vol. 16, No. 5 (Oct., 1986), 34.

[57] Skene L., Arguments against people "owning" their own bodies, body parts and tissue, Macquarie Law Journal, 2002, 165-176.

[58] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის №ას-296-624-07 განჩინება, და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის №ას-125-120-2012 განჩინება.

[59] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1010-ე მუხლი.

მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის.[60] სისხლი წარმოადგენს პროდუქტს, რომლის შეძენისას არსებობს მოლოდინი, რომ პროდუქტი არის ხარისხიანი, ვარგისიანი. საწინააღმდეგოს დამტკიცების შემთხვევაში პროდუქტის მიმწოდებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა.

თუ აიკრძალება სისხლის გაღებაში სარგებლის მიღება, და მის სანაცვლოდ დონორს თანხას აღარავინ გადაუხდის, შეიძლება ცოტა ადამიანი გამოჩნდეს, ვინც უანგაროდ ჩააბარებს სისხლს. ეს კი გამოიწვევს სისხლის რაოდენობის შემცირებას ბანკში, და მაშინ ექიმებს მოუწევთ ზოგიერთ პაციენტზე უარი თქვან, რომელთაც სისხლის გადასხმა და ოპერაცია ესაჭიროებოდათ.[61] ამის საფუძველზე, უფრო ნაკლები რაოდენობის ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა იქნება შესაძლებელი და სიკვდილიანობაც იმატებს.

ადამიანის სხეულის ნაწილების გაყიდვა გაკრიტიკებულია, რამდენადაც ზოგის მოსაზრებით ეს შეამცირებს ალტრუიზმს. თუმცა არსებობს პაციენტი, ტედ სლავინი, რომელიც 10000 დოლარს იღებდა მილილიტრ სისხლში, რომელიც გამოიყენებოდა დიაგნოსტიკური კომპლექტების შემუშავებაში ბ-ჰეპატიტის წინააღმდეგ. თუმცა, მან უფასოდ ჩააბარა დამატებითი სისხლი კვლევითი პროექტისთვის ონკოლოგიურ ცენტრ Fox Chase-ში, რომელიც გამოიყენეს ვაქცინის დასამზადებლად ბ-ჰეპატიტის წინააღმდეგ.[62]

2.1.3. რეპროდუქციული ფუნქციის შემსრულებელი ბიოლოგიური სითხე

სპერმის, კვერცხუჯრედისა და ემბრიონის გაღება ეთიკურად, მორალურად და სოციალურიად მისაღებად იქნა აღიარებული.[63] თუმცა სასამართლოები გაურკვევლობაში არიან, თუ როგორ უნდა მოხდეს კლასიფიკაცია სპერმისა და ემბრიონის, როგორც საკუთრება, კვაზი-საკუთრება თუ ისინი საერთოდ არ წარმოადგენენ საკუთრების ობიექტს, და ამის ნაცვლად მათი დარეგულირება უნდა მოხდეს კონფიდენციალურობის პრინციპებით.[64]

---

[60] პროდუქტის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1011-ე მუხლის პირველ ნაწილისა და საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცემის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით.

[61] Andrews L.B., My Body, My Property, The Hastings Center Report, Vol. 16, No. 5 (Oct., 1986), 35.

[62] Andrews L.B., My Body, My Property, The Hastings Center Report, Vol. 16, No. 5 (Oct., 1986), 35.

[63] Andrews L.B., My Body, My Property, The Hastings Center Report, Vol. 16, No. 5 (Oct., 1986), 29.

[64] Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 414.

ადამიანებს აინტერესებთ რა მოუვათ მათ სხეულის ნაწილებს სანამ ცოცხალი არიან და ასევე მათი გარდაცვალების შემდეგ. თუმცა ამ ინტერესის დაცვა დღეს საეჭვო დოქტრინებს ეფუძნება, რომლებიც იცავენ ადამიანებს ემოციური დარდისგან. 1973 წელს კოლუმბიის პრესვიტერიანული საავადმყოფოს ექიმები ნიუ-იორკში ცდილობდნენ ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერებას მეუღლის სპერმით. ექიმებთან და წყვილთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე განყოფილების უფროსმა ინკუბატორიდან ამოიღო კულტურა და გაანადგურა. მეუღლეებმა მისტერ და მისის დელ ზიოებმა, სასამართლოში უჩივლეს თავმჯრომარეს და საავადმყოფოს. სასამართლომ უარყო საკუთრების ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, და მხოლოდ კომპენსაცია გადაუხადა ემოციური სტრესისთვის.[65]

ზოგიერთი იურისტი და მკვლევარი ამტკიცებს, რომ არ არებობს საჭიროება საქმის კურსში ჩავაყენოთ ადამიანი, რომ მკურნალობის დროს მისი სხეულიდან ამოღებული ნაწილები, შეიძლება გამოყენებულ იქნას კვლევების დროს ან კომერციული მიზნებისთვის, თუ პაციენტი არანაირი დამატებითი რისკის ქვეშ არ აღმოჩნდება კვლევის საფუძველზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის სხეულის რაიმე ნაწილის აღება ხდება ძირითადად კვლევითი მიზნებისთვის, საჭიროა მისი თანხმობის არსებობა.[66]

პაციენტს აქვს უფლება უარი თქვას ან აარჩიოს მისი მკურნალობის გზა და იყოს თანაბარუფლებიანი. ბიოსამედიცინო ეთიკაში ავტონომია საფუძველია იმის, რომ დაუშვებელია ნებისმიერი სახის ექსპერიმენტისა თუ სამედიცინო ჩარევის განხორციელება პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გარეშე.[67]

2.1.3.1. სპერმა, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი

ხშირია შემთხვევები, როდესაც მამაკაცები სპერმას აბარებენ და ისინი ამას სხვადასხვა მიზეზითა თუ მიზნით ახორციელებენ. ზოგი სპერმას ინახავს საკუთარი მიზნებისთვის, რომ უშვილობის შემთხვევაში გამოიყენოს იგი. ზოგი

[65] Andrews L.B., My Body, My Property, The Hastings Center Report, Vol. 16, No. 5 (Oct., 1986), 29-30.

[66] Andrews L.B., My Body, My Property, The Hastings Center Report, Vol. 16, No. 5 (Oct., 1986), 30.

[67] Storrow R.L., The Erasure of Egg Providers in Stem Cell Science, University of Nebraska Press, A Journal of Women Studies , Vol. 34, No. 3, Special Issue: Reproductive Technologies and Reproductive Justice (2013), 192.

კი სპერმას აბარებს სამედიცინო დაწესებულებაში თანხის სანაცვლოდ. სპერმის ჩაბარებით დონორის ჯანმრთელობა არანაირი რისკის ქვეშ არ დგება.[68]

ინგლისის სასამართლოს 2009 წლის საქმეზე Yearworth v. North Bristol NHS Trust მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ადამიანის სხეულზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ პოზიციად. საქმეში განისაზღვრა, რომ დიდ ბრიტანეთში მეცნიერების განვითარების შედეგები არაადეკვატურია საერთო სამართლის რეგულაციებთან და საჭიროებს გაანალიზებას.[69] საქმე Yearworth v. North Bristol NHS Trust შეეხებოდა ექვს ადამიანს, რომელთაც ქიმიო თერაპიის ჩატარება ესაჭიროებოდათ. საავადმყოფომ ისინი გააფრთხილა, რომ კურსის გავლის შემდეგ თერაპიამ შეიძლება გამოიწვიოს მათი უშვილობა, ამიტომ შესთავაზა მათ ქიმიო თერაპიის დაწყებამდე შეენახათ სპერმა, და გამოეყენებინათ იმ შემთხვევაში თუ ისინი გამრავლებას ბუნებრივი გზით ვეღარ შეძლებდნენ. მამაკაცებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეენახათ სპერმა სამედიცინო დაწესებულებაში და გააფორმეს ხელშეკრულება, რომლითაც საავადმყოფომ აიღო პასუხისმგებლობა ყველა შესაძლო საშუალებით შეენახა სპერმა შესაბამისი წესის დაცვით. საავადმყოფომ, გარკვეული პერიოდის შემდეგ ვერ დაიცვა სპერმის შენახვისთვის განსაზღვრული მოთხოვნები და შემნახველი მოწყობილობის დაზიანების შედეგად ექვსივე მამაკაცის შენახული სპერმა დაზიანდა. თუ ქიმიო თერაპია მართლაც გამოიწვევდა მამაკაცების უშვილობას, აღარანაირი შესაძლებლობა აღარ არსებებდა, რომ მათ შვილები ყოლოდათ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მოეთხოვათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის და არა დელიქტის ნორმების შესაბამისად. აღნიშნული გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ სპერმა წარმოადგენდა იმ მამაკაცის საკუთრებას, რომლის სხეულიდანაც ის იქნა აღებული.[70]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესმა სასამართლომ სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილება გამოიტანა. საქმის მიხედვით, მამაკაცმა ოპერაციამდე გაყინა სპერმა, რამდენადაც ოპერაციას შეიძლებოდა გამოეწვია მისი უშვილობა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სამედიცინო დაწესებულებამ გაანადგურა სპერმა მამაკაცის თანხმობის გარეშე. გერმანიის

[68] Jansen R., Sperm and Ova as Property, BMJ, Journal of Medical Ethics, Vol. 11, No. 3 (Sep., 1985), 124.

[69] Brown J., Theft, Property Rights and Human Body – A Scottish Perspective, Journal of Medical Law and Ethics, Vol. 1, NR. 1, Paris Legal Publishers, 2013, 45.

[70] იხ. Yearworth v. North Bristol NHS Trust: CA 4 Feb 2009.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაირღვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და პირობები, და მამაკაცის მიმართ ჩადენილი ქმედება იყო არა საკუთრების ხელყოფა, არამედ სხეულის დაზიანება.[71]

გერმანიაში 1993 წელს მიღებულ იქნა ოთხი წესი, რომელიც განსაზღვრავდა შენახული სპერმის სამართლებრივ მდგომარეობას. (i) ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილები კანონით წარმოადგენს ქონებას, რომელზეც ვრცელდება საკუთრების უფლება. (ii) ადამიანის სხეულის ნაწილი, რომელიც უკან უნდა დაბრუნდეს ორიგინალ სხეულში და შეასრულოს თავისი ძირითადი ფუნქცია, (ძვლის ტვინი ან კანი გადანერგვის, კვერცხუჯრედი განაყოფიერების შემდეგ - in vitro) არ წარმოადგენს ობიექტს, რომელზეც შეიძლება გავრცელდეს საკუთრების უფლება. თუმცა იგი დაცულია პიროვნების უფლებით. (iii) ადამიანის სხეულის ნაწილი, რომელიც სამუდამოდ მოშორდა სხეულს, თუმცა სხვა ადამიანის სხეულს უნდა შეუერთდეს, მაგალითად სისხლის გადასხმისას ან ქსოვილის გადანერგვისას, იურიდიულად ასევე შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრების ობიექტს. (iv) სპერმა, რომელიც შენახულია მომავალში გამრავლებისთვის გამოსაყენებლად, თუმცა ამავე დროს განკუთვნილია სხვა ადამიანის სხეულისთვის, იგივე მდგომარეობაშია, როგორც კვერცხუჯრედი განაყოფიერების (in vito) შემდეგ. იგი არ წარმოადგენს ობიექტს, საკუთრების უფლებით. სხეული ქმნის ფუნქციურ ერთეულს, რომელიც ვრცელდება ცალკეულ ნაწილებზეც, რომლებიც ასევე დაცულია პიროვნების უფლებით, როგორც თავად სხეული.[72]

ავსტრალიის სასამართლოში ბევრი საქმე ეხებოდა ცოლის მიერ გარდაცვლილი ქმრის სპერმის გამოყენებას in vitro განაყოფიერებისთვის. როგორც წესი, განაცხადი გარდაცვლილი მეუღლის სპერმის შენახვასთან დაკავშირებით კეთდება გარდაცვალებიდან 24 საათის განვავლობაში, რამდენადაც სპერმატოზოიდები ამ დროის გასვლის შემდეგ, თუ ისინი წესის დაცვით არ არის შენახული, თავის ფუნქციას კარგავენ. საქმეებში AB v The A-G for the State of Victoria და Re Gray, აღებული სპერმის ხელოვნური განაყოფიერებისთვის გამოყენება აკრძალული იყო, მაშინ, როდესაც მსგავს განცხადებებზე გაიცა ორაზროვანი პასუხები. საბოლოოდ მისი რეგულირება მოხდა ერთ-ერთ საქმეში Re The Estate of the late Mark Edwards, სადაც ახალი

[71] BGH 9 November 1993, NJW 1994, 27. მითით. Cees Van Dam, European Tort Law, Second edition, Oxford, 2013, 171-172.

[72] Niall R. Whitty, Rights of Personality, Property Rights and the Human Body in Scots Law, Edinburgh Law Review, Vol. 9, Issue 2 (May 2005), 224.

სამხრეთ უელსის უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა, რომ შენახული სპერმა წარმოადგენს გარდაცვლილის საკუთრებას.

ევროპული და ბრიტანული სასამართლოები ერთსულოვნად განიხილავდნენ სპერმას, როგორც საკუთრებას, რომელიც დაკავშირებულია მემკვიდრეობასთან. დიდი ბრიტანეთის სასამართლომ საქმეში R v Human Fertilisation and Embryology Authority აღნიშნა, რომ გარდაცვლილი მეუღლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე 1990 წლის ადამიანის ემბრიოლოგიისა და განაყოფიერების აქტის შესაბამისად აკრძალულია სპერმის შენახვა და გამოყენება ქვრივის მიერ ხელოვნური განაყოფიერებისთვის.[73] თუმცა სასამართლომ ძალაში დატოვა სპერმის შენახვის უფლება, მიუხედავათ მათი ხელოვნური განაყოფიერების გამოყენების აკრძალვისა (in vitro). ინგლისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სპერმა ქვრივის მიერ გადაცემული ყოფილიყო სხვა ქვეყანაში, მაგალითად ბელგიაში, სადაც დონორის წერილობითი თანხმობა არ იყო საჭირო.[74]

ამერიკის სასამართლომ საქმეზე Hecht v. Superior Court (Kane) აღნიშნა, რომ სპერმა წარმოადგენს უნიკალურ ტიპს საკუთრებისას. ვილიამ კანეს შენახული ჰქონდა სპერმის ნიმუშები სპერმის ბანკში. მან სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებამდე დაწერა ანდერძი, რომლის მიხედვითაც შენახული სპერმა თავის შეყვარებულს დაუტოვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანეს გააჩნდა გადაწყვეტილების მიღების ავტონომია, მისი სპერმა გამოყენებული ყოფილიყო რეპროდუქციისთვის და ასევე აღნიშნა, რომ მას გააჩნდა საკუთრების უფლება მასზე.[75] სამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კაცს შეუძლია დაუტოვოს თავისი სპერმა შეყვარებულს, მაგრამ მიმღებს უფლება არ აქვს ივაჭროს მისით.[76]

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სპერმა მიჩნეულია ქონებად, რომლის სრული განკარგვის უფლება ენიჭება მის მესაკუთრეს.

---

[73] Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012 , 77.

[74] R v Human Fertilisation and Embryology Authority; Ex parte Blood 1997, 2 A11 ER 687.

[75] Hecht v. Superior Court (Kane) California. Court of Appeal, Second District, Division 7, 1993. მითით. George A., Property in the Human Body & Its Parts Reflections an Self-Determination in Liberal Society, European University Institute, Working Paper Law № 2001/8, Florence, 2001, 36.

[76] Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 437-438

2.1.3.2. ემბრიონი, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი

მედიცინის პროგრესმა წარმოშვა ბევრი ისეთი პრობლემა, რომელიც სამართლისათვის სრულიად უცხო და მოულოდნელი იყო. ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს სინჯარაში არსებული ემბრიონის სტატუსის დადგენა.

„ემბრიონის სტატუსთან დაკავშირებით საერთო სამართალში განასხვავებენ შემდეგ ძირითად მიდგომებს: 1) in vitro ემბრიონი არის ქონება, რომელზეც საკუთრების აბსოლუტური უფლება აქვთ გენეტიკურ მშობლებს თუ სხვა უფლებამოსილ, მაგალითად, რეციპიენტ პირებს; 2) განაყოფიერების მომენტიდან ემბრიონი გენეტიკურად უნიკალური მოვლენაა და უთანაბრდება ადამიანს, რის გამოც ყოველგვარი მანიპულაცია, მათ შორის, კრიოპრეზერვაცია, უნდა აიკრძალოს; 3) სინჯარის ემბრიონი წარმოადგენს განსაკუთრებულ ფენომენს, სამართლის სპეციალურ კატეგორიას, რომელიც, როგორც შუალედური მოვლენა სუბიექტსა და ქონებას შორის, იმსახურებს შესაბამის პატივისცემას.“[77]

ემბრიონთან მოპყრობა, როგორც საკუთრებასთან, შეიძლება მიუღებელი იყოს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ემბრიონი ითვლება შუალედურ კატეგორიად ადამიანისა და საკუთრების ფონზე, რომელიც განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. აშშ-ს ოცდათხუთმეტმა შტატმა კანონმდებლობით განამტკიცა ადამიანის ფეტუსისა და ემბრიონის პატივისცემა.[78] თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ემბრიონი განიხილება საკუთრებად შესაბამისი დაცვითი უფლების კონტროლის საშუალებებით. საქმეში Frisina v Women and Infants Hospital of Rhode Island ემბრიონის დაკარგვის შედეგად გამოწვეულ ემოციურ სტრესზე მოთხოვნა დაშვებულ იქნა შეუცვლელი ქონების დაკარგვის საფუძველზე.[79]

---

[77] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 38.

[78] Kiessling A., What is an Embryo? Conn. L.Rev., Vol. 36, 2004, 1051.

[79] Frisina v Women and Infants Hospital of Rhode Island, Sup.Ct. R.I. (2002). მითით. Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012, 78.

თუ ემბრიონი ითვლება ადამიანად, მაშინ მას გააჩნია იგივე დაცვითი უფლებები, რაც ნებისმიერ ადამიანს.[80]

გაერთიანებული სამეფოს ,,ადამიანის ემბრიოლოგიისა და ფერტილიზაციის შესახებ" კანონის შემუშავებისას უორნოკის კომისიამ თავი შეიკავა განემარტა, თუ როდის იწყება სიცოცხლე. მან თავის დასკვნაში მიუთითა, რომ ემბრიონს აქვს სპეციალური სტატუსი, იგი არის არა ადამიანი, არამედ პოტენციური ადამიანი და იმსახურებს პატივისცემას.[81] ეს სტატუსი მას ენიჭება მხოლოდ იმიტომ, რომ მას შესწევს უნარი გახდეს ადამიანი და ამ თვისების გამო იგი განსხვავდება ნივთებისგან. თუმცა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ეს აღიარება მას რაიმე კონკრეტული უფლებით არ აღჭურავს და დავის განხილვისას არც სასამართლო წყვეტს საკითხს ემბრიონის ინტერესებიდან გამომდინარე.

ჯორჯია პირველი შტატი იყო, რომელმაც მიიღო კანონი ემბრიონის შვილად აყვანის შესახებ, რომელშიც გულისხმობდა, რომ ემბრიონი - ეს არის ადამიანური არსება, იმის მიუხედავად, რომ დებულებაში ამის შესახებ პირდაპირ არაფერია ნათქვამი. ლუიზიანას კანონის მიხედვით ემბრიონი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რაც გულისხმობს სტატუსს და შეიძლება იყოს წარმოდგენილი ადვოკატის მიერ სასამართლო პროცესის დროს. მისურის კანონის მიხედვით სიცოცხლე იწყება ჩასახვისთანავე. ტეხასში მოქმედებს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონები, რომლებიც ადამიანად განიხილავენ არდაბადებულ ბავშვსაც ორსულობის ყოველ ეტაპზე, ჩასახვიდან დაბადებამდე.[82]

შტატ ტენესში უზენაესი სასამართლო მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომ ემბრიონი არ წარმოადგენს არც ცალსახად ადამიანს და არც ქონებას, უმჯობესი იქნება მათი განხილვა, როგორც დროებითი კატეგორია, რომელიც ანიჭებს მას უფლებას განსაკუთრებული მოპყრობისა და დაცვისა, რამდენადაც ის შეიძლება გახდეს სიცოცხლისუნარიანი. სასამართლოს გადაწყვეტილება ემთხვევა 1994 წლის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტების ადამიანის ემბრიონის კვლევითი კომისიის მოსაზრებას. რეპროდუქციული მედიცინის ამერიკული საზოგადოების ეთიკის კომისია მყარად დგას იმ პოზიციაზე, რომ ემბრიონი განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს და უნდა მიიღოს

[80] Fruchtman C.E., Withdrawal of Cryopreserved Sperm, Eggs, and Embryos, American Bar Association, Vol. 48, No. 1 (Spring 2014), 200.

[81] Jones D. A., The Soul Of The Embryo, An Enquiry into the Status of he Human Embryo in the Christian Tradition, Continuum, 2004, 266.

[82] Fruchtman C.E., Withdrawal of Cryopreserved Sperm, Eggs, and Embryos, American Bar Association, Vol. 48, No. 1 (Spring 2014), 200.

ამაღლებული მორალური სტატუსი სხვა ადამიანის სხეულის ქსოვილებთან შედარებით, მისი ადამიანად გადაქცევის უნარის გამო. ეთიკის კომისია ასევე მიიჩნევს, რომ ემბრიონი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პირად, რამდენადაც მას ჯერ არ აქვს განვითარებული პიროვნული თვისებები და შეიძლება ვერც ვერასდროს მოახდინოს თავისი ბიოლოგიური პოტენციალის რეალიზაცია.[83]

საქმეში Davis v. Davis, სასამართლომ გამოიყენა კონსტიტუციური უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა განქორწინებული წყვილის დავის გადასაწყვეტად 7 კრიოგენულად შენახული ემბრიონისა, დარჩენილი განაყოფიერების პროცესში. ქალს სურდა ემბრიონი უშვილო წყვილს გადაცემოდა, მამაკაცი კი უარზე იყო. ტენესის უზენაესმა სასამართლომ არ გამოიყენა საკუთრების ტერმინოლოგია და განაცხადა, რომ პრეემბრიონები ჯერ არც პიროვნებას წარმოადგენენ და არც საკუთრების ობიექტს, არამედ იკავებენ დროებით კატეგორიას, რომელიც ანიჭებს მათ განსაკუთრებულ მოპყრობას, რამდენადაც შეიძლება გადაიქცნენ ადამიანად.[84]

Parrillo v. Italy საქმის მიხედვით, მომჩივანმა და მისმა პარტნიორმა 5 ემბრიონი შეინახეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ პარტნიორი გარდაიცვალა. ეს საქმე ეხებოდა იტალიის N40/2004 კანონს, რომელიც მომჩივანს *in vitro* განაყოფიერებით მოპოვებული ემბრიონების, რომელიც არ იყო ორსულობისთვის გათვალისწინებული, სამეცნიერო კვლევისათვის გადაცემას უკრძალავდა. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) მიხედვით, მომჩივანი ჩიოდა, რომ მას არ შეეძლო სამედიცინო რეპროდუქციის შედეგად მოპოვებული ემბრიონების გადაცემა სამეცნიერო კვლევისათვის და რომ იგი ვალდებული იყო მოეხდინა ემბრიონების კრიოკონსერვაცია მათ დაღუპვამდე. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ სადავო აკრძალვა წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას. სასამართლომ მიუთითა რა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივნის გარდაცვლილი პარტნიორი ისურვებდა ემბრიონების სამედიცინო კვლევისთვის გადაცემას, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ სადავო აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის

[83] Fruchtman C.E., Withdrawal of Cryopreserved Sperm, Eggs, and Embryos, American Bar Association, Vol. 48, No. 1 (Spring 2014), 200-201.

[84] Davis v. Davis, the Supreme Court of Tennessee (1992). მითით. Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 416-417.

მე-8 მუხლის დარღვევას. და მიუთითა, რომ ემბრიონები არ შეიძლებოდა ,,საკუთრებად'' მიჩნეულიყო.[85]

1981 წლის ერთ-ერთ საქმეზე გაყინულ ემბრიონთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა. სამედიცინო მანიპულაციის შედეგად სინჯარაში შექმნილი ერთი ემბრიონი უშედეგოდ იქნა გადანერგილი ქალისათვის, დარჩენილი ორი კი გაყინეს. მეორე ოპერაციის გაკეთება ვეღარ მოესწრო, რადგან წყვილი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. რიოსებს ანდერძი არ დაუტოვებიათ, ერთადერთი მემკვიდრე აღმოჩნდა ქმრის ვაჟი პირველი ქორწინებიდან, რომელმაც უარი განაცხადა სუროგატი დედისათვის ემბრიონთა გადანერგვაზე. სოციალურ, ეთიკურ და სამართლებრივ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, ემბრიონები უნდა განადგურებულიყო, რადგან მათ არ გააჩნდათ დამოუკიდებელი უფლებები. ამასთან, გამეტთა ხელოვნური განაყოფიერების მანიპულაციის ჩატარებისათვის წყვილის მიერ გაცხადებული თანხმობიდან არ იკვეთებოდა სათადარიგო დედის გამოყენების ნება. აღნიშნულზე დაყრდნობით, გაყინული ემბრიონები გაანადგურეს. ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი დისკუსია გამოიწვია. ნაწილი მიიჩნევდა, რომ გაყინული ემბრიონი უნდა გათანაბრებოდა ჩანასახს და სუროგატული დედის მეშვეობით უნდა მომხდარიყო მათი დაბადება. მოწინააღმდეგეთა აზრით, ემბრიონები, როგორც ქონება, შედიოდა სამკვიდრო მასაში და შესაბამისად, მემკვიდრეს, როგორც უფლებამოსილ პირს, შეეძლო მათი ბედის გადაწყვეტა.[86]

„2006 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა ვეტო დაადო კანონპროექტს ემბრიონის ღეროვანი უჯრედების გამოყენების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ თითოეული ემბრიონი წარმოადგენს უნიკალურ სიცოცხლეს შესაბამისი ღირსებითა (dignity) და ღირებულებით (Value). ამ ინიციატივას მოჰყვა ემბრიონის შვილად აყვანის პროგრამა, რომლის მიხედვითაც, აშშ-ის კლინიკებში არსებული ჭარბი, გაყინული ემბრიონები უნდა გადაეცათ უშვილო წყვილთათვის.“[87]

---

[85] იხ. Parrillo v. Italy, Strasbourg, 27 August, 2015

[86] Rosen A., Rosen J., Frozen dreams: Psychodynamic Dimensions Of Infertility And Assisted Reproduction, Routledge, 2005, 273. მითით. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 33-34.

[87] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 37.

იგივე მოსაზრებაა კენტუკის შტატშიც, კანონმდებლობით დაუშვებელია ინ ვიტრო ფერტილიზაციის პროცესში ერთზე მეტი ემბრიონის შექმნა, რათა არ გახდეს საჭირო ზედმეტი ემბრიონის განადგურება.[88]

მართალია, სინჯარაში ან სინზე არსებული განაყოფიერებული კვერცხუჯრედი განსხვავდება ადამიანისგან, მაგრამ პრეემბრიონი უფრო დიდი სიკეთეა, ვიდრე ქონება. იგი პოტენციური სიცოცხლის ფენომენია, რომელიც აუცილებლად დაცული უნდა იყოს როგორც მიზანმიმართული განადგურებისგან, ასევე სხვადასხვა მანიპულაციისგან.

ქართულ სამართალში, კერძოდ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" კანონში არ არის გათვალისწინებული პრეემბრიონის დამცავი ნორმები. კანონის მიხედვით იგი მხოლოდ რეპროდუქციის უფლების ინსტრუმენტი და მიზნის მიღწევის საშუალებაა, რის საფუძველზეც იგი ობიექტს ემსგავსება.

ემბრიონი არ მიეკუთვნება ქონებას, თუმცა ის სამართლით დასაცავი სიკეთეა. პრეემბრიონთა ბედთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Evans v. United Kingdom.[89] ივანსმა და მისმა პარტნიორმა უშვილობის მკურნალობისათვის მიმართეს სამედიცინო კლინიკას. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა საკვერცხეების სიმსივნე, რის გამოც მას სასწრაფო ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ამ ოპერაციის შემდეგ ივანსს კვერცხუჯრედის ხელოვნურად განაყოფიერების გზით შესაძლებლობა ექნებოდა ჰყოლოდა ბავშვი. წყვილისათვის ჩატარებული ინ ვიტრო ფერტილიზაციის შედეგად შეიქმნა 6 ემბრიონი, რომლებიც გაყინულ იქნა, რადგან ნ. ივანსისათვის ჩატარებული ოპერაციის გამო არა უადრეს 2 წლის განმავლობაში, სამედიცინო ჩვენებით, არ შეიძლებოდა ორსულობა. წყვილი მალევე დაშორდა ერთმანეთს, რის გამოც მამაკაცმა კლინიკას მოსთხოვა ხელოვნურად შექმნილი ემბრიონების განადგურება. ხოლო ივანსმა, მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ემბრიონის გადანერგვის უფლების მინიჭება, რამდენადაც მას სხვა შანსი _ ყოფილიყო გენეტიკური მშობელი აღარ ჰქონდა. გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ ემბრიონი არ იყო ადამიანი და შესაბამისად, არც კონვენციით აღიარებული და დაცული სიცოცხლის უფლება ვრცელდებოდა მასზე. სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა მამაკაცის უფლებას, კერძოდ თავიდან

[88] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 37.
[89] იხ. Evans v. United Kingdom, The European Court of Human Rights, Strasbourg, 10 Apr.2007.

აეცილებინა ბიოლოგიური მშობლის ვალდებულება და ტვირთი. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, ემბრიონის იმპლანტაცია მამაკაცის დამატებით ფინანსურ პასუხისმგებლობას განაპირობებდა, რაც გულისხმობდა არასრულწლოვანი შვილების რჩენას, საალიმენტო ვალდებულებას და მსგავსი ვალდებულებების დაკისრება, პირის თანხმობის გარეშე, მიზანშეუწონელი და გაუმართლებელი იქნებოდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას ინგლისის სამართალს დაეყრდნო.

ემბრიონი არ არის ნივთი, იგი გენეტიკურ მშობელთა საკუთრებაა არა სანივთო გაგებით, არამედ პირადი უფლების კონტექსტში. თუ პოტენციური მამა კარგავს ქმედუნარიანობას, დედას უფლება აქვს ემბრიონის იმპლანტაციით შვას გენეტიკური შვილი; ხოლო თუ დედას ცნობს სასამართლო ქმედუუნაროდ, მამას უფლება არ აქვს სუროგატი დედის დახმარებით იყოლიოს შვილი,[90] რამდენადაც სუროგატული დედის მომსახურებისათვის აუცილებელია წყვილის თანხმობა.[91]

სსკ-ის 770-ე მუხლის ანალოგიის გამოყენებით, მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს კონსერვირებული ემბრიონის უკან დაბრუნება ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში, თუნდაც ემბრიონის შენახვის ვადა ყოფილიყო განსაზღვრული.[92]

ემბრიონის დაბრუნების მოთხოვნასთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკის საქმე York V. Jones[93]. ნიუ-ჯერსიში მცხოვრებმა უშვილო წყვილმა აშშ-ში ვირჯინიის ჯოუნსის სახელობის ცნობილ ინსტიტუტს მიმართა ხელოვნური განაყოფიერებისათვის. დაორსულების რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ, წყვილმა ინფორმირებული თანხმობა განაცხადა, რის საფუძველზეც ექვსი პრეემბრიონი გაყინეს შემდგომი იმპლანტაციისთვის. თუმცა, წყვილმა სამედიცინო ჩარევამდე გადაწყვიტა ლოს-ანჯელესის წამყვან კლინიკაში ჩაეტარებინა ოპერაცია. ამიტომ, წყვილმა ჯოუნსის კლინიკას გაყინული პრეემბრიონების დაბრუნება მოსთხოვა. ინსტიტუტმა უარი განაცხადა

---

[90] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 65-66.

[91] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 143-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტი

[92] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 49.

[93] York V. Jones, 717 F.Supp.421, 425 (E.D.Va.1989) მითით. Robertson J., Reproductive Technology And Reproductive Rights: In The Beginning: The Legal Status Of Early Embryos, Va.L.Rev., Vol. 76, 1990, 502.

პრეემბრიონების გადაცემაზე იმ მოტივით, რომ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, პრეემბრიონების გადნობა უნდა მომხდარიყო მხოლოდ მათ კლინიკაში მოსარჩელისთვის იმპლანტაციის განხორციელების მიზნით. ასევე განაცხადეს, რომ ემბრიონთა გადაზიდვა საქონლის გადაზიდვას ემსგავსებოდა და ამით ილახებოდა ემბრიონთა ღირსება, ამასთან, შესაძლებელი იყო საფრთხე შექმნოდა ემბრიონის სიცოცხლისუნარიანობას. სასამართლომ წყვილსა და ინსტიტუტს შორის გაყინულ პრეემბრიონთა შენახვის თაობაზე შეთანხმება შეაფასა მიბარების ხელშეკრულებად, რომლის მიხედვითაც, შემნახველს ვალდებულება ეკისრებოდა მიმბარებლისათვის დაებრუნებინა შესანახად გადაცემული ქონება. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარეს მიენიჭა ემბრიონთა გამოთხოვისა და გადატანის უფლება.

„პრეემბრიონი ნივთი არ არის და მისი ბრუნვაში მონაწილეობაც დაუშვებელი უნდა იყოს, თუმცა არსებული სამართლებრივი რეჟიმის პირობებში, როცა სხეულს გარეთ არსებული პრეემბრიონი შესაძლებელია როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ სხვას გადაეცეს (დონაცია), მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შენახულ იქნეს (კონსერვაცია), იგი უნდა განვიხილოთ სამართლის სპეციალურ ობიექტად. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კვაზი ქონება, რომელზეც გარკვეულ შემთხვევებში ვრცელდება ქონებასთან დაკავშირებული ნორმები.“[94]

2.2. ადამიანის სხეულის ორგანოების ტრანსპლანტაციის სამართლებრივი მოწესრიგება

ტრანსპლანტოლოგია მეცნიერების ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია, რომლის განვითარებამ განსაკუთრებით მწვავედ დააყენა ადამიანის ორგანოს, როგორც საკუთრების ობიექტის განხილვა. ზოგიერთი ქვეყანა ამ ტენდენციას ფეხს უწყობს სამართლებრივი ჩარჩოების მოქნილობის წყალობით. საკანონმდებლო ცვლილებები შეიმჩნევა ჩვენს ქვეყანაშიც, მაგალითად, 2016 წელს განხორციელდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც გაფართოვდა დონორთა წრე. დღესდღეობით აუცილებელია განისაზღვროს ადამიანის სხეულის სამართლებრივი სტატუსი, შესაძლებელი უნდა იყოს სხეულის ნაწილებზე სანივთო სამართლის აღიარება. ტრანსპლანტოლოგიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ობიექტების სამოქალაქო ბრუნვაში

[94] გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 41-42.

შემოყვანა. სწორედ ამიტომ, მრავალმა სახელმწიფომ ბოლო წლებში მიიღო სხვადასხვა კანონი, რომელიც არეგულირებს ტრანსპლანტაციის სამართლებრივ ასპექტებს.

მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ აქტუალურია ადამიანის სხეულთან მიმართებაში სანივთო სამართლის არსებობის საკითხი. სამედიცინო სფერო დიდ პროგრესს განიცდის. ყოველდღიურად იზრდება მიღწევები მედიცინაში და შესაბამისად იზრდება მოთხოვნილებებიც. ეს ახალი სამედიცინო ტენდენციები აუცილებლად უნდა მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოებში. შესაბამისად, სამართალს უწევს დროთა განმავლობაში გადასინჯოს დამყარებული დოგმები და შეიმუშავოს ახალი ნორმები, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებთან იქნება შესაბამისობაში, რათა შენარჩუნებული იქნას სამოქალაქო სტაბილურობა. ეს ეხება სანივთო სამართალს, რომელიც განიხილავს საკუთრების ობიექტს. საკუთრების ცნების მნიშვნელობა დღეს არსებითად შეცვლილია იმისაგან, რასაც იგი ნიშნავდა რამდენიმე წლის წინ.

საკუთრება მოიაზრებს ერთიანად მფლობელობას, სარგებლობას და განკარგვას. ადამიანი საკუთარ ორგანოს ფლობს, ასევე სარგებლობს მისით, ხოლო კანონმდებლობით მას მხოლოდ უსასყიდლოდ შეუძლია მისი განკარგვა. ქართული კანონმდებლობით აღიარებულია უსასყიდლო საკუთრება. სასყიდლიანობის გამორიცხვა გამოწვეულია საჯარო წესრიგის დაცვის მიზნით. საზოგადოებაში ტრანსპლანტაცია არ არის ამორალური, ამიტომ სამართალი არ უნდა გაუცხოვდეს თანამედროვე მორალურ ფასეულობებთან. კანონმდებელი მორალურად მიიჩნევს ადამიანის გადარჩენის მიზნით მეორე ადამიანის მიერ ორგანოს უსასყიდლოდ გაღებას, რის საფუძველზეც დონორი აუცილებლად ზარალდება. ხოლო ამორალურად მიიჩნევს, თუ იგივე ქმედება დაჯილდოვდა და დონორმა ორგანოს გაღებაში ფულადი ანაზღაურება აიღო. კანონმდებლის მიერ დადგენილი ნორმა დასცილდა მორალურ ღირებულებებს, ხოლო სამართლის უმთავრესი ამოცანაა მოიპოვოს საზოგადოების ნდობა და შეინარჩუნოს იმისათვის, რომ არ დაირღვეს სამოქალაქო სტაბილურობა. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის მიზანია კომერციალიზაციის თავიდან აცილება, რაც შეიძლება გამოიწვიოს სხეულის ნაწილების აღების, გაცვლისა და განაწილების პროცესმა. სამედიცინო მიღწევები გამოყენებულ უნდა იქნეს საზოგადოების საკეთილდღეოდ, მათი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და

სიცოცხლის გადასარჩენად. დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია კონსტიტუციური ღირებულებების ხელყობა მოხდეს.

2016 წლის თებერვალში ბიოეთიკის კომიტეტმა DH-BIO შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი ფინანსურ სარგებელზე აკრძალვის შესახებ, როგორც DF-BIO-ისა და ევროპის ორგანოთა ტრანსპლანტაციის კომიტეტის (CD-P-TO) მიერ 2014 წლის მაისში მიღებული ადამიანის ორგანოების კომერციალიზაციის ნებისმიერი ფორმის აკრძალვის შესახებ. ფინანსური სარგებლის მიღების აკრძალვის მიზანს წარმოადგენს დაცულ იქნას ცოცხალი დონორისა და რეციპიენტის ღირსება, გარდაცვლილი დონორის ორგანოების განუყოფლობა, ალტრუისტული შემოწირულობის ხელშეწყობა, გადასანერგად განკუთვნილი ადამიანის სხეულის ნაწილების ხარისხის დაცვა, რომელსაც ენდობიან ადამიანები.[95]

ფინანსური სარგებლის მიღების აკრძალვა არ ეხება ცოცხალ დონორზე გამართლებული ხარჯების ანაზღაურებას, რაც გამოიწვია ორგანოს, ქსოვილისა თუ უჯრედის ამოღებამ ან სამედიცინო გამოკვლევებმა. ასევე, კომპენსაციის გაცემა დასაშვებია ორგანოს, ქსოვილისა თუ უჯრედის ამოღებისას გაუმართლებელი დაზიანების შემთხვევაში.[96]

ტრანსპლანტაციის დროს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური თემაა ადამიანის ორგანოს ან ქსოვილის აღების მართლზომიერების საკითხი. ორგანოს ამოღება გარკვეულ ზიანს აყენებს დონორის ჯანმრთელობას, ასევე შეიძლება მის ჯანმრთელობას შეექმნას საფრთხე. თუმცა ექიმის მოქმედება მაინც მართლზომიერია, რამდენადაც დონორს თავად აქვს თანხმობა გაცხადებული ამ ზიანზე.[97]

თანამედროვე მედიცინამ ადამიანის სხეული ინსტრუმენტული ღირებულების წყაროდ გადააქცია, რომელიც წარმოადგენს სხვა პაციენტებისთვის სიცოცხლის გადარჩენის წყაროს, ხოლო ექიმებისთვისა თუ მეცნიერთათვის კვლევის რესურსს.[98]

---

[95] Council of Europe, Guide for the implementation of the principle of prohibition of financial gain with respect to the human body and its parts from living or deceased donors, March 2018, 3-4.

[96] Council of Europe, Guide for the implementation of the principle of prohibition of financial gain with respect to the human body and its parts from living or deceased donors, March 2018, 4.

[97] ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მერიდიანი, თბილისი, 2019, 221.

[98] Campbell C.S., Body, Self, and the Property Paradigm, The Hastings Center Report, Vol. 22, No. 5 (Sep. - Oct., 1992), 35

2.2.1. ტრანსპლანტაციის სუბიექტთა უფლებები

2.2.1.1. დონორი

დონორი შეიძლება იყოს როგორც ცოცხალი ადამიანი, ასევე გარდაცვლილი, რომლისგანაც იღებენ ორგანოს სხვა ადამიანისთვის გადასანერგად. "ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღება დაიშვება სხვა ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნების, მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ცოცხალი დონორი შეიძლება იყოს: ა) გენეტიკური ნათესავი, რეციპიენტის მეუღლე, თუ ქორწინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ ერთი წელი და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირები.[99] დასაშვებია, დონორი არ იყოს რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი ან მეუღლე იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი დონორისაგან გადასანერგად იღებენ იმ ორგანოს ან ქსოვილს/უჯრედს, რომელსაც გააჩნია თვითგანახლების უნარი.[100]

ასეთი შეზღუდვის მიზანია, გამართლებულ იქნას ცოცხალი დონორის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება კეთილშობილური მოტივით, რაც გულისხმობს ახლობლის გადარჩენის სურვილს, ასევე გამოირიცხოს უცხო დონორის მოსყიდვა, ან იძულება, რათა გამოირიცხოს ადამიანის ორგანოს კომერციული გარიგების საგნად გადაქცევა.[101]

საქართველოს კანონმდებლობა განიხილავს და არეგულირებს არასრულწლოვანი (გარდა მცირეწლოვანისა) დონორისაგან მხოლოდ ძვლის ტვინის აღების შესაძლებლობას, თუ ეს პროცედურა არ დააზიანებს მის ჯანმრთელობას და თუკი ეს ტრანსპლანტატი განკუთვნილია პირველი ან მეორე რიგის ნათესავისათვის, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სიცოცხლისათვის სახიფათოა და არ არსებობს მკურნალობის სხვა მეთოდები. ძვლის ტვინის ექსპლანტაციისათვის აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადასტურებული მშობლების (მშობლის) ან

[99]საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" მე-18 მუხლი.

[100] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ" მე-19 მუხლი.

[101] ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მერიდიანი, თბილისი, 2019, 222.

მშობლების ზრუნვას მოკლებული არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა.[102]

სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის თავისუფალი ნების გამოვლენას. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპლანტაციის რეგულაციის საკითხებში. ტრანსპლანტოლოგიასთან მიმართებაში მოქმედებს უარის პრეზუმფცია, რაც იმას გულისხმობს, რომ ორგანო (ქსოვილები, უჯრედები) შეიძლება ამოკვეთილ იქნას სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქმედუნარიან პირს ამის შესახებ თანხმობა სიცოცხლეშივე აქვს გაცხადებული. მაგრამ, თუ არ არსებობს გარდაცვლილი დონორის სიცოცხლეში გაცხადებული თანხმობის ან უარის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, ორგანოს აღება დასაშვებია, თუ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება არ ეწინააღმდეგება მის რელიგიურ რწმენას, მის ეთიკურ პრინციპებს.[103] ცოცხალი დონორისგან ინფორმირებული თანხმობის მიღებამდე მას დაწვრილებით უნდა განემარტოს ის რისკები და უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობები, რაც ოპერაციული ჩარევის შემდეგ მის სიცოცხლეს შეიძლება დაემუქროს, ყველა შესაძლო გარემოება, რამაც შეიძლება ზეგავლენა მოადინოს დონორის გადაწყვეტილებაზე.[104] დონორს უფლება აქვს შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება ტრანსპლანტაციის ნებისმიერ ეტაპზე და ეს არ ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად.[105]

გერმანიაში დონორი შეიძლება იყოს როგორც გარდაცვლილი, ასევე ცოცხალი ადამიანი. ცოცხალი დონორის შემთხვევაში მოიაზრება უცნობი პირიც. გერმანიის კანონმდებლობით, დონორს უფლება აქვს, მოითხოვოს ჯანმრთელობის დაზღვევა, ტრანსპორტით მგზავრობისას თანხის ანაზღაურება და ხელფასის განაცდურის მოთხოვნა, თუ შრომისუნარიანობა დროებით დაკარგა.[106]

ავსტრიაში, კანონის თანახმად, ავტომატურად ნებისმიერი ადამიანი დონორად ითვლება. პოტენციური დონორების ნათესავების აზრი არ გაითვალისწინება.[107]

---

[102] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ მე-20 მუხლი.
[103] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ მე-4 და მე-5 მუხლები.
[104] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ 21-ე მუხლი.
[105] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ 22-ე მუხლი.
[106] Legal aspects, <http://www.drze.de/in-focus/organ-transplantation/legal-aspects> [29.06.2019].
[107] Мустафаева А. И., Мамедов В. К., ,,Трансплантология: правовие и этические проблемы“. <http://www.anl.az/down/meqale/exo/2010/oktyabr/136095.htm> [30.06.2019]

ნიდერლანდებში, კანონის მიხედვით, გარდაცვლილებისაგან ორგანოს ამოღების უფლების პრობლემა იჭრება დონორის პრეზუმფციის პრინციპით. ანუ გარდაცვლილის (ან მისი ნათესავების) სიცოცხლეშივე გამოთქმული ნებისაგან დამოუკიდებლად. თუკი არის დონორობის ჩვენება, მაშინ ის უნდა ჩატარდეს.[108]

2.2.1.2. რეციპიენტი

,,ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ'' საქართველოს კანონის 3-ე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, რეციპიენტი არის ადამიანი, რომელსაც მკურნალობის მიზნით გადაენერგა სხვა ადამიანის ორგანო.

ნებისმიერ პაციენტს, მათ შორის რეციპიენტსაც, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის 3-ე მუხლის ,,ა" პუნქტის მიხედვით გააჩნია ავტონომია, რაც გულისხმობს, რომ მას უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა საკითხი. რეციპიენტმა უნდა მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია[109] ტრანსპლანტაციის შედეგად შესაძლო რისკების შესახებ, რომელიც ემუქრება მის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას, ასევე ოპერაციის არშესრულების შემთხვევაში შესაძლო შედეგების ალბათობის შესახებ, და სხვა თანმდევი საკითხების შესახებ. ყოველივე ამის საფუძველზე რეციპიენტისაგან მიიღება ინფორმირებული თანხმობა[110], რომელიც უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით.

რეციპიენტმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ყოველგვარი პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზეგავლენის გარეშე, აქაც დაცული უნდა იყოს ნების გამოვლენის თავისუფლების პრინციპი. ადგილი არ უნდა ჰქონდეს ანგარებიან ან ფიქტიურ გარიგებას.

თუ რეციპიენტს არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, მხედველობაში მიიღება წარსულში გაცხადებული ნება, როდესაც მას ჰქონდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების უნარი. თუ არც წარსულში გაუცხადებია რეციპიენტს ასეთი ნება, და თუ მას მანამდე არ ჰქონდა გამოკვეთილად ერთმნიშვნელოვანი უარყოფითი დამოკიდებულება ტრანსპლანტაციის ოპერაციის მიმართ, მაშინ სამედიცინო ჩარევაზე გადაწყვეტილებას იღებს რეციპიენტის ნათესავი ან კანონიერი

---

[108] Мустафаева А. И., Мамедов В. К., ,,Трансплантология: правовие и этические проблемы". <http://www.anl.az/down/meqale/exo/2010/oktyabr/136095.htm> [30.06.2019]

[109] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" მე-7 მუხლი.

[110] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" მე-13 მუხლი.

წარმომადგენელი. ,,პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ე“ და ,,ვ“ პუნქტების მიხედვით განსაზღვრულია, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს პაციენტის ნათესავად.

საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მითითებული, ტრანსპლანტაციის რომელ ეტაპამდე აქვს რეციპიენტს უფლება შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება. თუ ექსპლანტატის ამოღების შემდგომ რეციპიენტი უარს განაცხადებს თავის ოპერაციაზე, ჩნდება ეჭვი, რომ ადამიანის ორგანო შეიძლება გახდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, მართლსაწინააღმდეგო გარიგების საგანი. ამიტომ, რეციპიენტის მხრიდან გადანერგვაზე უარის თქმის საბოლოო ეტაპის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა საბოლოოდ სამოქალაქო სტაბილურობა არ იქნეს დარღვეული. მართებული იქნება, თუ კანონმდებლობაში იქნება განსაზღვრული ეტაპი, რომლამდეც რეციპიენტს უფლება ექნება ოპერაციაზე თქვას უარი.

2.2.1.3. ცოცხალი ადამიანის სხეულის ნაწილების ტრანსპლანტაცია

ცოცხალი ადამიანი შესაძლებელია ნებაყოფლობით იყოს სხვა ადამიანის დონორი. ცოცხალი დონორისაგან ორგანოს აღება სხვა ადამიანისათვის გადასანერგად დასაშვებია მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნების, მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეჩერების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ცოცხალ დონორთა წრე საქართველოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული. შესაბამისად ნებისმიერი პირი ვერ იქნება დონორი და ვერც ნებისმიერ რეციპიენტს გადაუნერგავს დონორი ორგანოს. ცოცხალი დონორი შეიძლება იყოს რეციპიენტის გენეტიკური ნათესავი, მეუღლე, თუ ქორწინების რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ ერთი წელი და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირები.[111] ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ, როდესაც თვითგანახლების უნარის მქონე ქსოვილის გადანერგვა ხდება აუცილებელი მოთხოვნა არ არის, რომ დონორი რეციპიენტის ნათესავი ან მეუღლე იყოს. ასეთ დროს ნებისმიერი პირი შეიძლება გამოდგეს დონორად.[112]

ცოცხალი დონორის შემთხვევაში სპეციალურ განკარგვაუნარიან ობიექტად განიხილავენ ისეთ ორგანო/ქსოვილებს, რომელთაც გააჩნიათ რეგენერაციის უნარი (ღვიძლი) ან არის წყვილი ორგანო (თირკმელი, თვალი).

თირკმელი ყველაზე მოთხოვნადი ორგანოა ტრანსპლანტოლოგიაში, რამდენადაც მათი გადანერგვა ყველაზე დიდი წარმატებით ხორციელდება. ამასთან ერთად, ადამიანი იბადება ორი თირკმლით, მაგრამ ერთი ჯანმრთელი თირკმლითაც შეძლებს ცხოვრებას.[113] თირკმლის გადანერგვის მსურველ რეციპიენტთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს.[114]

„ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმის „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“ მიხედვით, ადამიანის სხეული და მისი ნაწილები არ შეიძლება გახდეს ფინანსური ან სხვა სარგებლის წყარო. თუმცა ამ ოქმის შეზღუდვები არ ეხება

---

[111] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ მე-18 მუხლი.
[112] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ მე-19 მუხლი.
[113] Thomas H. Murray, On the Human Body as Property: The Meaning of Embodiment, Markets, and the Meaning of Strangers, University of Michigan Journal of Law Reform 20(4), 1987, 1057.
[114] Scott R., The body as Property, Allen Lane, United state of America, 1981, 17-18.

რეპროდუქციულ ორგანოებს, ემბრიონის ან ნაყოფის ორგანოებს და ქსოვილებს, სისხლსა და სისხლის დერივაციებს.[115]

ადამიანის სხეულის ნაწილის სხვისთვის გადაცემა მოხალისეობად ითვლება. ადამიანის სხეულის ორგანოებისა და ქსოვილების გაყიდვა აკრძალულია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დაცული იქნას პოტენციური დონორი ექსპლუატაციისგან და გამოყენებულ იქნას ტრანსპლანტაციისთვის უსაფრთხო ორგანოები და ქსოვილები.[116] ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა კატეგორიულადაა აკრძალული და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რომლისთვისაც გათვალსიწინებულია მკაცრი სასჯელი. ცოცხალი დონორის ორგანოებით ვაჭრობის პრობლემასთან დაკავშირებით სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტი ითვალისწინებს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას - განზრახ მკვლელობა მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. დონორობა ალტრუისტული მოქმედებაა, არ შეიძლება ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება. დანაშაულია ასევე დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით პაციენტის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის 117-ე მუხლი). დამნაშავის მიზანია გამოიყენოს პაციენტის სხეულის რომელიმე ორგანო, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილი გადანერგვისათვის ან სხვაგვარად, რისთვისაც ის სწირავს პაციენტის ჯანმრთელობას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ასევე იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, რომელიც სამკურნალოდ, გადასანერგად, ექსპერიმენტისათვის ან სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილების აღების იძულებას უკავშირდება (სსკ -ის 134- ე მუხლი).

საქმეზე McFall v. Shimp, მოსარჩელეს ესაჭიროებოდა ძვლის ტვინის გადანერგვა. მოპასუხე იყო მისი ბიძაშვილი, რომელმაც უარი განაცხადა დონორობაზე. სასამართლომ ცნო მოპასუხის საკუთრების უფლება მის ძვლის

[115] „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ"კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

[116] Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 120.

ტვინზე და განაცხადა, რომ დონორის თანხმობის გარეშე მისი ძვლის ტვინის გადანერგვა დაუშვებელია.[117]

მძიმე დანაშაულს წარმოადგენს ადამიანის ორგანოს შეძენა კომერციული გარიგების საფუძველზე. ორგანოთა ყიდვა-გაყიდვა თანამონაწილეობას გულისხმობს. დანაშაული დამთავრებულია ადამიანის ორგანოებზე გარიგების განხორციელების მომენტიდან, ანუ გარკვეული საზღაურის ფასად ადამიანის ორგანოს გასხვისების (შეძენის) მომენტიდან.[118]

2.2.1.4. გარდაცვლილი პაციენტის სხეულის ნაწილების ტრანსპლანტაცია

ტრანსპლანტაციის სფეროში გვამური ორგანოების გამოყენება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ცოცხალი დონორისთვის ორგანოს აღება ყოველთვის გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული დონორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, რამდენადაც არც თუ ისე ცოტა შემთხვევაა ცნობილი, როდესაც დონორი დაიღუპა საოპერაციო მაგიდაზე ან ოპერაციის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ. ორგანოებზე მოთხოვნა დიდია, შესაბამისად მხოლოდ ცოცხალი დონორისგან მიღებული ორგანოები არასდროს იქნება საკმარისი ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ჯერჯერობით არც ერთ ქვეყანაში არ არის დამაკმაყოფილებელი გადასანერგ ორგანოებზე არსებული მოთხოვნა, თუმცაღა გვამური ორგანოების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა გადანერგვების რაოდენობა მთელ მსოფლიოში. პოტენციური გვამური დონორების დიდი ნაწილის სიკვდილი უბედური შემთხვევით ან ტვინის სისხლძარღვთა დაავადებებით არის განპირობებული. ამ პაციენტებს აღენიშნებათ ტვინის სიკვდილი და, ამავე დროს, უგრძელდებათ გულის ცემა და სუნთქვა ხელოვნური ვენტილაციის წყალობით, რაც იმას ნიშნავს, რომ შინაგანი ორგანოების სისხლით მომარაგება გრძელდება. ამდენად, ორგანო ფუნქციურად ვარგისია და შეიძლება მისი გამოყენება გადანერგვისათვის.[119]

---

[117] McFall v. Shimp, 10 Pa. D. & C. 3d 90 – Pa: Court of Common Pleas 1978, მითით. Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 57-58.

[118] ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მერიდიანი, თბილისი, 2019, 226.

[119] ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილია., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ, მეიშვილი ზ, მირზიკაშვილი ნ, ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წინასწარი წერილობითი ნების გამოხატვა სამედიცინო მომსახურების ჩატარების ან უარის შესახებ, საჭიროა მხოლოდ მაშინ თუ, პაციენტი განუკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაზეა (სიკვდილის წინა სტადია), ან განუვითარდება დაავადება, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას.[120]

საქართველოს კანონმდებლობით ადამიანის ორგანოების, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილების გაცემა ადამიანის სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ წარმოადგენს ნებაყოფლობით აქტს, რომელიც ხორციელდება სხვა ადამიანისთვის გადანერგვის, მკურნალობის, მეცნიერული კვლევის ან სწავლების მიზნით.[121]

გარდაცვლილი პირის ორგანოს ან ქსოვილის აღება შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული თანხმობის ან ნებართვის მიღების შემდეგ. ორგანოს ან ქსოვილის აღება დაუშვებელია, თუ გარდაცვლილი სიცოცხლეში ამის წინააღმდეგი იყო.[122] ორგანოს აღებისას ადამიანის სხეული პატივისცემით უნდა იყოს მოპყრობილი და ყველა შესაძლო ზომა უნდა იქნეს მიღებული გვამის გარეგნული სახის აღსადგენად.[123]

აშშ-ში მოქმედებს რეგულაცია ორგანოების ტრანსპლანტაციის მიზნით გადაცემის შესახებ (UAGA), რომელიც მსგავს რეგულაციას შეიცავს. გარდაცვლილი ადამიანის სხეული არ შეიძლება გასაყიდად იქნას გამოტანილი, მაგრამ შესაძლებელია მათი გადაცემა უსასყიდლოდ სხვადასხვა მიზნებისთვის, თუ ამაზე გარდაცვლილისგან სიცოცხლეში არის თანხმობა მიღებული, ან თანხმობა მიღებულია გარდაცვლილის ნათესავებისგან პირის გარდაცვალების შემდგომ. UAGA-ს რეგულაციები ცდილობდნენ განეხილათ გარდაცვლილი ადამიანის სხეული საკუთრებად, თუმცა ამით ისინი წინააღმდეგობაში მოდიოდნენ საერთო სამართლის ტრადიციებთან, რომელიც უარყოფდა იდეას, რომ გვამი წარმოადგენდა ქონებას. ამის ნაცვლად გვამი საერთო სამართლის მიხედვით განხილულია როგორც კვაზი საკუთრება, რომლის ყიდვა/გაყიდვა დაუშვებელია. თუმცა ადამიანებს მასზე

სახელმძღვანელო იურისტებისთვის, ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო", საქართველო, 2011, 175.

[120] საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ", 24-ე მუხლის 1 პუნქტი.

[121] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" 114-ე მუხლი.

[122] „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ"კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ" მე-17 მუხლი.

[123] „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ"კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ" მე-18 მუხლი.

გააჩნიათ გარკვეული უფლებები, მათ შორის გვამის ფლობა დაკრძალვის მიზნით, სხვა პირთა მოქმედებების აკრძალვა გვამის მიმართ, გარდაცვლილი პირის უკანასკნელი სურვილის ასრულების უფლება, თუ სად დაიკრძალოს იგი.[124]

2.2.1.5. სიკვდილის მომენტის განსაზღვრის პრობლემატიკა

სიკვდილი თანმიმდევრულად მიმდინარე ბიოლოგიური პროცესია. სიკვდილის დადგომის მომენტთან რამდენიმე სამართლებრივი შედეგია დაკავშირებული: სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართალი. თუმცა სიკვდილის მომენტის ზუსტი განსაზღვრა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ტრანსპლანტატის დონორის სიკვდილის შემთხვევაშია. გარდაცვლილი ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციისთვის გამოსაყენებლად, ჯერ უნდა დადგინდეს რა შემთხვევაში ჩაითვლება ადამიანი გარდაცვლილად, შესაბამისად უნდა განისაზღვროს სიკვდილის მომენტი.

თანამედროვე პირობებში რეციპიენტის დახმარების სურვილით შეიძლება მოხდეს სიკვდილის მომენტის ნაადრევი განსაზღვრაც. ამიტომ, უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ ტრანსპლანტანტი ამოღებული არ იქნება ისეთი დონორისგან, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს და პაციენტი გადარჩეს.

სიკვდილის მომენტის დადგენა დარეგულირებული უნდა იყოს კანონით. ტრანსპლანტაციის საჭიროების გამო, სამართლის ამოცანაა ზუსტად განსაზღვროს სიკვდილის მომენტი, კანონში იყოს გაწერილი სიკვდილის კონკრეტული სამედიცინო პირობები, რათა თავიდან აირიდოს დონორის სიკვდილის ნაადრევად დადგენის ალბათობა.

სიკვდილის მომენტის ორი განსხვავებული განმარტებაა კანონმდებლობით მოცემული, კერძოდ, სსკ-ის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა“. ხოლო „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მიხედვით ადამიანი გარდაცვლილად ჩაითვლება თავის ტვინის სიკვდილის ან გულის შეუქცევადი გაჩერებისა და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტისას.

[124] Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000, 382-383.

მედიცინაში არსებობს ტერმინი – ტერმინალური მდგომარეობა, რაც გულისხმობს საბოლოო, გადამწყვეტ, ამა თუ იმ დაავადების უკანასკნელ, ტერმინალურ სტადიას. ეს გულისხმობს, რომ პაციენტი უიმედოა. ტერმინალურ მდგომარეობას მიეკუთვნება აგონია, კლინიკური სიკვდილი, ტვინის სიკვდილი. „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული სიკვდილის მომენტის ცნება მოიაზრებს ტვინის სიკვდილს (თავის ტვინის სიკვდილი) და კლინიკურ სიკვდილს (გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა). არცერთ შემთხვევაში პაციენტი არ არის მკვდარი. კლინიკური სიკვდილის დროს არ შეინიშნება გულის მოქმედება, სუნთქვა და ა.შ. თუმცა, ორგანოები და ქსოვილები, რომელთა ანატომიური სტრუქტურა არ დარღვეულა, ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას და შეუძლიათ თავისი ფუნქციის გაგრძელება. კლინიკური სიკვდილი ადამიანში გრძელდება რამდენიმე წუთის განმავლობაში, როცა ჯერ კიდევ არის იმედი სიცოცხლისკენ დაბრუნებისა, რამდენადაც ზოგ შემთხვევაში კლინიკური სიკვდილი შექცევადი პროცესია. თუმცა, თუ გულის მუშაობა არ აღდგება კლინიკური სიკვდილი ბოლოს გადადის ბიოლოგიურ სიკვდილში.

რაც შეეხება ტვინის სიკვდილს, ამ დროსაც პაციენტი ცოცხალია, რამდენადაც გული ფუნქციონირებას აგრძელებს, მაგრამ ეს დროებითია და ბიოლოგიური სიკვდილი აუცილებლად დადგება. ორივე შემთხვევა არის იდეალური ტრანსპლანტაციისთვის, რამდენადაც ადამიანი გარკვეულ პერიოდში მოკვდება, მაგრამ ორგანოები ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ და მათი ამოღება და ტრანსპლანტაციისთვის გამოყენება არის შესაძლებელი.

იმისათვის, რომ ნაადრევად არ მოხდეს პაციენტის სიკვდილის მომენტის განსაზღვრა, კანონმდებლობაში მოქმედებს მუხლი, რომლის მიხედვითაც, მკურნალი ექიმის მონაწილეობით რეანიმატოლოგისა და ნევროპათოლოგისაგან შემდგარმა ორმა დამოუკიდებელმა ჯგუფმა, რომელიც არ მონაწილეობს ტრანსპლანტაციაში, პაციენტის თავის ტვინის სიკვდილი უნდა დაადასტუროს ცალ-ცალკე ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით.[125]

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სიკვდილის მომენტის დეფინიციას, აქაც საუბარია ტვინის სიკვდილზე და არა ბიოლოგიურ სიკვდილზე. ბიოლოგიური სიკვდილი არის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის სრული შეწყვეტა, რასაც თან ახლავს ქსოვილებისა და ორგანოების შეუქცევადი

[125] საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ მე-14 მუხლი.

ცვლილებები. კოდექსში მოცემული დეფინიცია გარდაცვალების მომენტად განსაზღვრავს ტვინის სიკვდილს რაც არასწორია. ამ დროს ადამიანი არ არის გარდაცვლილი, გული ფუნქციონირებას აგრძელებს, უბრალოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ სიკვდილი გარდაუვალია. დიდი ალბათობით, კანონმდებელს ბიოლოგიური სიკვდილის განსაზღვრება სურდა, როცა ადამიანი მართლაც მკვდარია. წინააღმდეგ შემთხვევაში მე-11 მუხლში მოცემული განსაზღვრება გარდაცვალების მომენტად არ უნდა იყოს მოყვანილი. გარდაცვალების მომენტის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ დეფინიციაში გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა სიკვდილის მომენტად არ განისაზღვრა, რამდენადაც მედიცინა წინ წავიდა და გახშირდა გულზე ოპერაციები, სისხლის მიმოქცევის დროებითი შეჩერება. ამიტომ, სამართალმა გარდაცვალების მომენტად თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა აღიარა.[126]

პაციენტის უიმედო მდგომარეობას სწორედ ტერმინალური მდგომარეობა წარმოადგენს. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, როდის ითვლება პაციენტი უიმედოდ და მისი გადარჩენა შეუძლებელია. თუ პაციენტს ტერმინალური მდგომარეობა არ აღენიშნება, მას უიმედო პაციენტის სტატუსს ვერავინ მიანიჭებს. აქედან გამომდინარე, გადანერგვის განხორციელებაც შეუძლებელი იქნება.

ეს ორი მუხლი ერთმანეთის წინააღმდეგობაში არ მოდის, რამდენადაც „ადამიანის ორგანოების გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონში საუბარია, თუ როდის შეგვიძლია პაციენტი უიმედოდ მივიჩნიოთ და მისი ორგანოები გადანერგვისთვის გამოვიყენოთ. მოცემული ნორმა მხოლოდ ტრანსპლანტაციის დროს გამოიყენება და გარდაცვალების მომენტს არ განსაზღვრავს. ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოცემული განმარტება ეხება სამოქალაქო საკითხებს, მაგალითად მემკვიდრეობის საკითხებს.

2.3. გვამი, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი

2.3.1. გვამი, როგორც კვაზი საკუთრება

XIX საუკუნის ინგლისისა და ავსტრალიის საქმეებზე სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა ვის ეკუთვნოდა გარდაცვლილი ადამიანის სხეული. შემუშავებულ

[126] ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამართალი, თბილისი, 2002, 43.

იქნა პრინციპი, რომლის მიხედვითაც არც გვამი და არც გვამის ნაწილები არ წარმოადგენენ საკუთრებას. რამდენადაც გვამი საკუთრების ობიექტი არ იყო, შესაბამისად შეუძლებელი იყო იგი ქურდობის ობიექტი გამხდარიყო. თუმცა, გარდაცვლილი პირის წარმომადგენლებს ჰქონდათ გარდაცვლილის სხეულის ფლობის უფლება მისი დაკრძალვის მიზნით და ასევე შეეძლოთ გვამის უკან გამოთხოვა, თუ გვამი სხვა პირის მფლობელობაში აღმოჩნდებოდა.[127]

ასეთი მიდგომა განპირობებული იყო გარემოებით, რომ გვამი ოდესღაც ადამიანი იყო, ხოლო გვამის ნაწილები, ადამიანის სხეულის ნაწილები. გვამის ფლობა ზიანის მომტანი იყო საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის, გაუმართლებელი იყო რელიგიის თვალსაზრისით, ასევე წარმოადგენდა ადამიანის ღირსების შემლახველ ქმედებას. არ არსებობს საკუთრების უფლება გვამზე. ეს მიდგომა დღემდე შენარჩუნებულია დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში.[128] ბოლო დროინდელ ავსტრალიის საქმეში Calma v. Sesar, გარდაცვლილი აბორიგენი ბიჭის მშობლები ვერ შეთანხმდნენ სად დაეკრძალათ იგი. სასამართლომ განაცხადა, რომ მშობლებს ჰქონდათ თანაბარი უფლებები გვამზე, რაც გამოიხატებოდა დაკრძალვის უფლებაში, თუმცა ისინი არ იყვნენ მისი მესაკუთრეები.[129]

XIX საუკუნემდე ბრიტანეთში ქონებრივი ინტერესი გვამების მიმართ მაღალი იყო. მაგალითად, კრედიტორს შეეძლო დაეკავებინა გარდაცვლილი ადამიანის სხეული ვალის დაბრუნებამდე. საქმეზე Jones v. Ashburnham სასამართლომ ეს პრინციპი ყველა კანონისა და მორალის საწინააღმდეგოდ გამოაცხადა.[130] მოგვიანებით დადგინდა, რომ გვამი არ იყო ქონება, რომლის საფუძველზეც გვამის დაკავება აიკრძალა ვალის დაბრუნების მიზნით.[131]

---

[127] Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 105.

[128] Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 106.

[129] Calma v Sesar and ors, In the Supreme Court of the Northern Territory of Australia, (1992) 2 NTLR 37. მითით. Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 106.

[130] Jones v. Ashburnham, 102 Eng. Rep. 905 (K.B. 1804). მითით. Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 22-23.

[131] Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012 , 75-76.

საერთო სამართლის მიხედვით, გარდაცვლილის ნათესავებს გააჩნიათ დროებითი საკუთრების უფლება გვამზე. ეს უფლება განიხილება, როგორც კვაზი საკუთრების უფლება, რაც გულისხმობს გარდაცვლილის დაკრძალვას.[132]

გერმანული სამართლის სივრცეში გარდაცვლილის გვამი მიიჩნევა სპეციალური კატეგორიის ნივთად. მასზე არ არსებობს საკუთრების უფლება და ის არ გადაეცემა მემკვიდრეობით.[133]

ბრიტანელების მიდგომას, რომ გვამი არ წარმოადგენდა საკუთრებას, ამერიკის სასამართლოები თავიდანვე ღიად დაუპირისპიდრდნენ.[134] ამერიკის სასამართლოები გვამზე იყენებენ კვაზი საკუთრების კონცეფციას, რომელთა მიზანია მოსარჩელისთვის უფრო მეტი დაცვის გარანტიების შექმნა.

გვამზე საკუთრების არსებობა სამართლებრივი ფიქციაა, რამდენადაც მას არანაირი კავშირი არ აქვს საკუთრებასთან სამართლებრივი გაგებით. ის მხოლოდ ასახავს ნათესავების უფლებას, რომელიც მოიცავს უფლებას ფლობდე გარდაცვლილის სხეულს და დაიცვა ის დასაფლავების მიზნით, ასევე განსაზღვრო დასაფლავების დრო, ადგილი და დასაფლავების ცერემონიალის საკითხები. გარდაცვლილის ახლობლების ეს უფლებები არ არის საკუთრებაზე დაფუძნებული და არ შეიძლება გავათანაბროთ მესაკუთრის უფლებებთან, რომელიც მას გააჩნია ობიექტზე.[135]

საქმეზე Keyes v. Konkel სასამართლომ აღნიშნა, რომ კვაზი საკუთრების მიხედვით, თუ გვამს ზიანი მიადგება, ამით საკუთრების ხელყოფა არ გვექნება სახეზე. ასეთი შემთხვევა უნდა განიხილოს, როგორც გარდაცვლილი პირის

---

[132] Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012 , 76.

[133] Münchener Kommentar/Holch, 2006, § 90, RdNr. 32, მითით. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 204.

[134] Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 28.

[135] Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 31.

ახლო ნათესავისთვის ზიანის მიყენება, იმ საფუძვლით, რომ დაირღვა მისი უფლება ფლობდეს გვამს დაკრძალვის მიზნით.[136]

ქართულ სამართალში არსებობს ორი განსხვავებული მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ერთი მოსაზრების თანახმად, თუ გვამი ნივთად იქნება მიჩნეული, მაშინ მასზე საკუთრების წარმოშობაც უნდა იყოს შესაძლებელი. გასათვალისწინებელია, თუ რამდენი მუმია არის გამოფენილი დასავლეთის ქვეყნების მუზეუმებში, შესაბამისად, გვამი შეიძლება იქცეს ნივთად ნორმატიული გაგებით.[137] ადამიანის გვამი არ წარმოადგენს ნივთს, ვიდრე იგი განასახიერებს პიროვნებას. მას შემდეგ, რაც გვამი ანატომიის ინსტიტუტში მოთავსდება და მისი ანონიმიზება მოხდება, ამით იგი კარგავს გარდაცვლილი პირის სამოსელს და ნივთად იქცევა.[138]

მეორე მოსაზრება ეწინააღმდეგება გვამის ანონიმიზების საფუძველზე მისი ნივთად მიჩნევის შესაძლებლობას. მემკვიდრეებსა და ახლო პირებს აქვთ გვამთან მიმართებით გარკვეული მოქმედებების განხორციელების უფლება. მაგალითად მათ გააჩნიათ გარდაცვლილის დაკრძალვის უფლება, ასევე გვამის გადაცემა შეიძლება მოხდეს სამედიცინო კლინიკისთვის კვლევითი მიზნებისთვის, თუმცა ვერცერთი შემთხვევა ვერ ასაბუთებს გვამის ნივთად განხილვის საჭიროებას. ადამიანის ნეშტის სამედიცინო კლინიკაში მოთავსება დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს სიცოცხლეში აქვს გამოვლენილი ნება, ან არაპირდაპირ გამომდინარეობდეს ინდივიდის შეხედულებებიდან, მოღვაწეობიდან ან, მინიმუმ არ უნდა არსებობდეს მისი საპირისპირო ნების დამადასტურებელი გარემოებები. დაკრძალვასთან დაკავშირებული პროცედურებიც გარდაცვლილის ნების აღსრულებაა. ნათესავები აღასრულებენ გარდაცვლილის ნებას სად და როგორ დაიკრძალოს იგი. გვამი ადამიანის ღირსებიდან გამომდინარე პიროვნულობის სფეროში უნდა მოექცეს და უნდა მოხდეს მისი დაცვა. საინტერესო საკითხია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნეშტები წარმოადგენენ თუ არა ნივთებს. გერმანულ სამართალში განმტიცებულია, რომ ადამიანის სხეული მისი გარდაცვალებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს

---

[136] Keyes v.Konkel, 78 N.W. 649 (Mich. 1899). მითით. Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 31.

[137] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011, 142-143.

[138] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 27.

ნივთად. ეს ხდება იმიტომ, რომ რეალურად აღარ არსებობს კავშირი გარდაცვლილ ადამიანსა და მის გვამს შორის, ანუ გვამი კონკრეტულ პიროვნებასთან არ იდენტიფიციდრება. ანალოგიურად შესაძლებელია განიხილებოდეს ამჟამად გარდაცვლილი უცნობი ადამიანის გვამი, რომლის ვინაობის დადგენაც გენეტიკური ტესტის მეშვეობითაც ვერ ხერხდება. თუმცა, ადამიანის ღირსების დაცვა ხორციელდება მისი ვინაობის მიუხედავად. საკმარისია, მხოლოდ ის, რომ ის არის ადამიანი, ან იყო გარდაცვალებამდე.[139]

[139] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 204-206.

2.3.2. გვამზე საკუთრების უფლების არსებობა, პიროვნების შრომისა და უნარების საფუძველზე

ავსტრალიის სასამართლომ 1908 წელს პირველად დაასაბუთა გვამზე და მის ნაწილებზე საკუთრების უფლების არსებობის შესაძლებლობა. მან გამონაკლისის სახით დაუშვა, რომ შრომითი ხარჯის გაწევა გვამზე იმსახურებს დაცულ იყოს საკუთრების უფლებით. სასამართლო გადაწყვეტილებებში აღინიშნა, რომ გვამს შესაძლოა მიენიჭოს ქონებრივი ღირებულება და წარმოადგენდეს საკუთრების ობიექტს, თუ მისი არსებული ფორმა შრომისა და უნარების (work and skill) შედეგია, რის საფუძველზეც გვამს შეიძლებოდა მატერიალური ფასეულობა მინიჭებოდა. საქმეზე Doodeward v Spence ავსტრალიის სასამართლომ აღნიშნა, რომ მკვდრად დაბადებული ორთავიანი ბავშვის გვამი შეიძლება მიჩნეულიყო ქონებად, რამდენადაც მისი შენარჩუნება მოხდა შრომისა და უნარების საფუძველზე. შესაბამისად, პირს, რომელმაც შეასრულა ეს სამუშაო და დახარჯა დრო, გამოიყენა თავისი უნარები გვამის შესანარჩუნებლად, უფლება ჰქონდა მოეთხოვა ქონების უკან დაბრუნება.[140] მსგავსად დაკვალიფიცირდა გარდაცვლილის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული საქმეც. საქმეზე R v Kelly[141] მხატვარმა ქირურგიის სამეფო კოლეჯიდან გვამის ნაწილები დასახატად მოიპარა. 1998 წელს ბრიტანული სასამართლოს მიერ ეს საქმე ქურდობად იქნა დაკვალიფიცირებული, რამდენადაც გარდაცვლილი ადამიანის სხეულის ნაწილები მეცნიერული ძალისხმევით იქნა შენარჩუნებული.[142] საბოლოოდ განისაზღვრა, რომ საკუთრების უფლება ადამიანის სხეულის ნაწილებზე აქვს არა იმ პირს, რომლის სხეულიდანაც ნაწილები ამოიღეს ან მის ნათესავებს, არამედ მას, რომლის შრომისა და უნარების საფუძველზე მოხდა ქონების შენარჩუნება.[143]

---

[140] Doodeward v Spence, High Court of Australia, 1908, 6 CLR 40 მითით. Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 106-107, Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 58-59.

[141] R v Kelly & Anor, The British Court of Appeal, 14.05.1998, EWCA Crim 1578.

[142] Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 59.

[143] Skene L., Arguments against people "owning" their own bodies, body parts and tissue, Macquarie Law Journal, 2002, 165-176.

ამერიკის საქმეზე Moore v. Regents of the University of California[144], მიღებული გადაწყვეტილება იყო მეცნიერული კვლევის სიახლე და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბიოტექნოლოგიის ინდუსტრიის განვითარებისთვის. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დასაბუთდა საკუთრების უფლების არსებობის შესაძლებლობა ადამიანის სხეულიდან აღებულ ქსოვილებზე. მურის დაუდგინდა თმის უჯრედების ლეიკემია. ექიმმა მას ამოაჭრა გადიდებული ელენთა, რათა შეეჩერებინა დაავადების პროგრესირება. მურის ნებართვის გარეშე, ექიმმა მისი ელენთის ნაწილი გამოიყენა კვლევისთვის და აღმოაჩინა ღირებული უჯრედოვანი ხაზი, რომელიც მოგვიანებით დაპატენტდა და ცნობილია „Mo cell line" სახელით. ეს უჯრედოვანი ხაზი პაციენტის დნმ-ს შეიცავდა. მური მოითხოვდა ქსოვილის დაპატენტებიდან მიღებულ სარგებელს. კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მურს არ გააჩნდა საკუთრების უფლება ამოკვეთილ ქსოვილზე და შესაბამისად, არც წილზე გააჩნდა რაიმე პრეტენზია. ადამიანის ორგანიზმიდან ამოღებულ ქსოვილზე აღარ არსებობს პიროვნების საკუთრების ინტერესი. მურს არ გააჩნდა არც ქსოვილის უკან დაბრუნების და არც განადგურების მოთხოვნის უფლება.[145] მეცნიერული უნარებისა და შრომის შედეგად მურისგან ამოღებული ქსოვილი გადაიქცა დაპატენტებულ და შემოსავლიან უჯრედოვან ხაზად. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომ როგორც პატენტი, ასევე მისგან მიღებული სარგებელი ეკუთვნის მკვლევარს, რომელმაც მის შესაქმნელად გასწია შრომა და გამოიყენა მეცნიერული უნარები.[146]

სასამართლოებმა არაერთხელ იმსჯელეს ადამიანის სხეულისა და სხეულის ორგანოების საკუთრების უფლების ობიექტად აღიარების შესახებ. თუმცა, საინტერესოა სასამართლოების მიდგომა ქსოვილებთან დაკავშირებით, აღიარებენ თუ არა ისინი ქსოვილს საკუთრების უფლების ობიექტად, თუ იგი ლაბორატორიაში ინახება.

2002 წელს საქმეზე Roche v Douglas, მოსარჩლეს სურდა მამის ვინაობის დადგენა და ამ გზით მემკვიდრეობის მიღება. გარდაცვლილი მამაკაცის სხეულიდან აღებული იყო ქსოვილი ოპერაციის ჩატარებისას, რომელიც

---

[144] იხ. Moore v. Regents of the University of California, Supreme Court of California 1990.

[145] Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 107-108.

[146] Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 59.

ინახებოდა პარაფინის ზეთში პათოლოგიის ანატომიის ლაბორატორიაში. ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ის წარმოადგენდა საკუთრებას თავისი ბუნებიდან გამომდინარე და არა იმიტომ, რომ მის შენახვაზე შრომაა დახარჯული. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა გამოყენებულიყო ქსოვილი ტესტის ჩასატარებლად, ისე რომ არ უმსჯელია ვის ჰქონდა საკუთრების უფლება მასზე.[147] სასამართლომ აღნიშნა, რომ დნმ-ის ანალიზის ჩატარდებით ფაქტები ცხადი გახდებოდა და ამით სასამართლო დროსა და ფინანსებს დაზოგავდა.[148] ეს გადაწყვეტილება განსხვავდებოდა მანამდე მიღებული გადაწყვეტილებისგან, რომელმაც უარყო პრინციპი, რომ ადამიანის სხეულიდან ამოღებული ქსოვილი შეიძლება იყოს საკუთრება. საქმეზე Dobson v North Tyneside Health Authority ადამიანის ტვინი იყო ამოღებული და პარაფინის ზეთში მოთავსებული, რომელიც მოგვიანებით განადგურდა. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გარდაცვლილის კანონიერ წარმომადგენლებს არ გააჩნდათ უფლებები ტვინზე.[149]

2014 წელს კანადის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ადამიანის ქსოვილი მიჩნეულ იქნა მოძრავ ქონებად და შესაბამისად საკუთრების ობიექტად. საქმეზე Piljak Estate v. Abraham სასამართლომ ქალბატონო პილჯაკის სხეულიდან სამედიცინო დაწესებულების მიერ აღებული ღვიძლის ქსოვილის ნიმუში დაწესებულების საკუთრებად მიიჩნია.[150]

ჰონ-კონგში სასამართლო გადაწყვეტილებები ადამიანის სხეულის ნაწილების საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით ძალიან მცირეა, საქმეზე

---

[147] Roche v Douglas, WASC (2000) 146 (Supreme Court of Western Australia, 2000), მითით. Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 108-109.

[148] Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002, 76.

[149] Dobson and another v North Tyneside Health Authority and another [1996] EWCA Civ 1301, Court of Appeal. მითით. Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002, 108.

[150] Piljak Estate v. Abraham, Superior Court of justice – Ontario, 2014 ONSC 2893. მითით. ხასია გ., ადამიანის სხეული, როგორც საკუთრება, თბილისი, 2017.

Ho Wai Yin and ors v Cheng Suet Yee დადგინდა, რომ გარდაცვლილი ადამიანის ფერფლი შეიძლება იყოს ქონება.[151]

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იყო შეიძლებოდა თუ არა ცოცხალი ადამიანის სხეულისთვის ობიექტის სტატუსის მინიჭება და მასზე საკუთრების უფლების აღიარების შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. ასევე განხილულ იქნა გარდაცვლილი ადამიანის სხეულის სამართლებრივი სტატუსი და ადამიანის სხეულის ორგანოებისა და ქსოვილების კერძოსამართლებრივი ობიექტივიზაციის შესაძლებლობები.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების განხილვისა და მთელი რიგი სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ ადამიანი არის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რომელსაც გააჩნია ღირსებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები. დაუშვებელია ადამიანის სხეულის ნივთად განხილვა, რამდენადაც ეს პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით გარანტირებულ ღირსების უფლებასთან. ადამიანს გააჩნია პირადი ავტონომია, რის მიხედვითაც მისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და თანხმობის გარეშე დაუშვებელია მისი სხეულის ნაწილებისა თუ ქსოვილების ამოღება, შენახვა ან გამოყენება. ადამიანს სრული უფლება აქვს დაიცვას საკუთარი სხეული სხვა პირების მხრიდან უკანონო ქმედებებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი. იგივე პრინციპი მოქმედებს ამოღებულ სხეულის ნაწილებზე და ქსოვილებზე როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი ადამიანის სხეულიდან. როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი ადამიანის სხეულის მიმართ უკანონო ქმედების განხორციელების შემთხვევაში პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ამ დროს სხეულის ნაწილი ვისი საკუთრებაა.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში თვითგანახლებადი ქსოვილები ქონებად არის აღიარებული. ეს განაპირობა იმან, რომ ამ ქსოვილებს გააჩნიათ აღდგენის შესაძლებლობა და მისი ამოღებით ადამიანის არც ჯანმრთელობას და არც

[151] Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012 , 75

სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რამდენადაც თვითგანახლებად ქსოვილებზე საკუთრების უფლება ვრცელდება, შესაბამისად მესაკუთრეს ვალდებულება ეკისრება მისი ქონება, რომელიც პროდუქტს წარმოადგენს, იყოს ხარისხიანი. უხარისხო პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში მესაკუთრეს დაეკისრება პასუხისმგებლობა. ასევე თუ ვინმე თვითგანახლებად ქსოვილებს მოიპარავს, საქმე ქურდობად დაკვალიფიცირდება. ეს კიდევ ერთხელ ამყარებს პოზიციას, რომ თვითგანახლებადი ქსოვილები ქონებას წარმოადგენენ.

ემბრიონი არ წარმოადგენს არც ცალსახად ადამიანს და არც ქონებას, იგი ადამიანის სხეულის სხვა ქსოვილებისგან იმით განსხვავდება, რომ მას შესწევს უნარი გადაიქცეს ადამიანად. სწორედ ამიტომ იგი განიხილება, როგორც დროებითი კატეგორია, რომელიც ანიჭებს მას უფლებას განსაკუთრებული მოპყრობისა და დაცვისა, რაც უნდა გამოიხატოს მისი მიზანმიმართულად განადგურების, აგრეთვე, სხვადასხვა მანიპულაციის აკრძალვაში. ემბრიონი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პირად, რამდენადაც მას ჯერ არ აქვს განვითარებული პიროვნული თვისებები და შეიძლება ვერც ვერასდროს მოახდინოს თავისი ბიოლოგიური პოტენციალის რეალიზაცია. თუმცა, რამდენადაც სხეულს გარეთ არსებული პრეემბრიონი შესაძლებელია როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ სხვას გადაეცეს და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შენახულ იქნეს, იგი უნდა განვიხილოთ სამართლის სპეციალურ ობიექტად. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კვაზი ქონება, რომელზეც გარკვეულ შემთხვევებში ვრცელდება ქონებასთან დაკავშირებული ნორმები.

აშშ გვამზე კვაზი საკუთრებას აღიარებს. თუმცა ამით გარდაცვლილის მემკვიდრეებს ან ახლო ნათესავებს მესაკუთრის უფლებები არ ენიჭებათ. მათ აქვთ გვამის მხოლოდ დაკრძალვის უფლება და დაკრძალვასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარების უფლება. ამ გარემოებათა გამო არ იქნება მართებული გვამი ქონებად განიხილოს. მასზე საკუთრების უფლების გავრცელება შეუძლებელია. თუმცა, არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება მეტყველებს იმაზე, რომ თუ ადამიანის სხეულის ნაწილებზე შრომა და უნარები იქნება დახარჯული შესაძლებელია მისი საკუთრებად განხილვა. ეს განპირობებულია იმით, რომ შრომისა და უნარების საფუძველზე ადამიანის სხეულის ნარილები განსხვავებულ თვისებებს იძენენ. ასეთ დროს საკუთრების უფლება არ ეკუთვნის იმ პირს, ვისი სხეულიდანაც მოხდა ნაწილების ამოღება,

ან მის ნათესავებს, არამედ იმას, ვისი შრომისა და უნარების საფუძველზე სხეულის ნაწილებმა შეიძინეს განსხვავებული ნიშანი.

ტრანსპლანტოლოგია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა მედიცინაში. საქართველოს კანონმდებლობა ამ კუთხით განვითარებულია და ფეხდაფეხ მიყვება ტრანსპლანტოლოგიის წინსვლას. თუმცა არის საკითხები, რომლებიც კვლავ დასახვეწია. საჭიროა, რომ გავიზიაროთ იმ ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილება, სადაც ტრანსპლანტოლოგია არსებობს და საკმაოდ განვითარებულია. ტრანსპლანტაციაში ფინანსური სარგებლის მიღების აკრძალვის მიზანს წარმოადგენს დაცულ იქნას ცოცხალი დონორისა და რეციპიენტის ღირსება. რამდენადაც არის დიდი რისკი დაიწყოს ადამიანის სხეულის ორგანოებითა და ქსოვილებით ვაჭრობა, მათი გაყიდვის აკრძალვის მიზანს წარმოადგენს დონორის ექსპლუატაციისგან დაცვა. სწორედ ამის საფუძველზე იკვეთება პრობლემაც, რომ დონორი რადგან ფინანსურ სარგებელს ვერ მიიღებს, შეიძლება უარი განაცხადოს დონორობაზე და ამით საფრთხის ქვეშ დადგეს რეციპიენტის სიცოცხლე. დონორის პოვნა, რომლის ორგანო შესაბამისი იქნება რეციპიენტისთვის, ძალიან დიდ სირთულესთან და დროსთან არის დაკავშირებული. დონორისთვის ფინანსური უზრუნველყოფის არარსებობის გამო, კი რეციპიენტმა ერთადერთი გადარჩენის შესაძლებლობაც შეიძლება დაკარგოს. დღეს ირანსა და პანისტანში კანონიერია თირკმლის გაყიდვა, რომელიც 5-6 ათას დოლარად არის შეფასებული.

კანონმდებელი ცდილობს არ გააფართოვოს ქონების ცნება და მასში ადამიანის ორგანოები და ქსოვილები არ განიხილოს. ამის მიზეზი ის არის, რომ მედიცინის მიღწევებმა და ადამიანის სხეულის ნაწილების ქონებად განხილვამ არ შელახოს ადამიანის ღირსება. თუმცა მედიცინა ყოველდღიურად ვითარდება და წინ მიდის. სამედიცინო სფერო დიდ პროგრესს განიცდის და მიღწევებიც მატულობს. სამედიცინო მიღწევები გამოიყენება საზოგადოების საკეთილდღეოდ, მათი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და სიცოცხლის გადასარჩენად. სამართლის მთავარი მიზანია შეინარჩუნოს სამოქალაქო სტაბილურობა. სწორედ ამიტომ, იგი ვალდებულია ამ მიზნით სამედიცინო მიღწევები მოაქციოს სამართლებრივ ჩარჩოებში. მან დროთა განმავლობაში უნდა გადასინჯოს განმტკიცებული ნორმები და შეიმუშაოს ახალი, რომელიც მედიცინის განვითარებულ ტექნოლოგიებთან იქნება შესამაბისობაში. თუ სამართალი წინააღმდეგობას გაუწევს სამედიცინო მიღწევებს და არ იქნება კანონმდებლობა მედიცინასთან

შესაბამისობაში, ამით ხელს შეუშლის მის განვითარებას და, შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება თუ სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობები არ გაიზრდება. აქედან გამომდინარე, ტენდენცია მიდის ქონების ცნების გაფართოებისკენ და ის აუცილებლად უნდა გაფართოვდეს. დროთა განმავლობაში ამის თავიდან აცილება გართულდება.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, ძალაშია 1995 წლის 24 აგვისტოდან.
2. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენცია, ძალაშია 2001 წლის 8 მარტიდან.
3. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“, ძალაშია 2002 წლის 11 ოქტომბრიდან.
4. საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“, ძალაშია 2000 წლის 1 ივნისიდან.
5. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, ძალაშია 1997 წლის 31 დეკემბრიდან.
6. საქართველოს კანონი „სისხლის და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ, ძალაშია 1995 წლის 21 მარტიდან.
7. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცემის კოდექსი“, ძალაშია 2012 წლის 25 მაისიდან.
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ძალაშია 1997 წლის 24 ივლისიდან.
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ძალაშია 1999 წლის 13 აგვისტოდან.
10. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, 24-ე მუხლის 1 პუნქტი.
11. ჭეჭელაშვილი ზ., (მთარგმ.) გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, „სიესტა“, თბილისი, 2010.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ასლანიშვილი კ., ჯიბუტი მ., იმედაშვილია., ჯავაშვილი გ., კიკნაძე ნ, მეიშვილი ზ, მირზიკაშვილი ნ, ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის, ფონდის “ღია საზოგადოება - საქართველო”, საქართველო, 2011.
2. გელაშვილი ი., დისერტაცია თემაზე: ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012.

3. ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2016.
4. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
5. ზოიძე თ., საკუთრების უფლების ცნება და შინაარსი, ჟურნალი კერძო სამართლის მიმოხილვა, N1, 2015.
6. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
7. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., გვენეტაძე ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), მერიდიანი, თბილისი, 2019.
8. მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), მერიდიანი, თბილისი, 2012.
9. სურგულაძე ნ., რომის სამართლის ძეგლები: იუსტინიანეს ინსტიტუციები, მერიდიანი, თბილისი, 2002.
10. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011.
11. ხასია გ., სასემინარო ნაშრომი: ადამიანის სხეული, როგორც საკუთრება, თბილისი, 2017.
12. ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამართალი, თბილისი, 2002.
13. Andrews L.B., My Body, My Property, The Hastings Center Report, Vol. 16, No. 5 (Oct., 1986).
14. Boulir W., Sprem, Spleens and others valuables: The need recognize property rights in human body parts, Hofstra Law Review, Vol. 23 Issue 3, Spring, 1995.
15. Brahams D., Editorial: Body Parts as Property, Medico-Legal Journal, Vol. 66 Part 2, 1998.
16. Brown J., Theft, Property Rights and Human Body – A Scottish Perspective, Journal of Medical Law and Ethics, Vol. 1, NR. 1, Paris Legal Publishers, 2013.
17. Campbell C.S., Body, Self, and the Property Paradigm, The Hastings Center Report, Vol. 22, No. 5 (Sep. - Oct., 1992).
18. Cees Van Dam, European Tort Law, Second edition, Oxford, 2013.

19. Council of Europe, Guide for the implementation of the principle of prohibition of financial gain with respect to the human body and its parts from living or deceased donors, March 2018.
20. Fruchtman C.E., Withdrawal of Cryopreserved Sperm, Eggs, and Embryos, American Bar Association, Vol. 48, No. 1 (Spring 2014).
21. George A., Property in the Human Body & Its Parts Reflections an Self-Determination in Liberal Society, European University Institute, Working Paper Law № 2001/8, Florence, 2001.
22. Gerike P. A. Human Biological Material: A Properity interest of Part of Monistic Being, 17 OHIO N.U.L REV, 1991.
23. Jansen R., Sperm and Ova as Property, BMJ, Journal of Medical Ethics, Vol. 11, No. 3 (Sep., 1985).
24. Jones D. A., The Soul Of The Embryo, An Enquiry into the Status of he Human Embryo in the Christian Tradition, Continuum, 2004.
25. Kiessling A., What is an Embryo? Conn. L.Rev., Vol. 36, 2004.
26. Niall R. Whitty, Rights of Personality, Property Rights and the Human Body in Scots Law, Edinburgh Law Review, Vol. 9, Issue 2 (May 2005).
27. Rao R., Property, privcy, and the human body, Boston university Law Review, Vol.80, Issue 2, 2000.
28. Remigius N. Nwabueze, Biotechnology and the New Property Regime in Human Bodies and Body Parts, Loyola of Los Angeles International and Comparative Law Review, Vol 24, Issue 1 (January), 2002.
29. Robertson J., Reproductive Technology And Reproductive Rights: In The Beginning: The Legal Status Of Early Embryos, Va.L.Rev., Vol. 76, 1990.
30. Tsz ngai Roger, Property Right in Human Tissue – A Review of the Current Statue of Hong Kong Law in Relation to Human Body Parts, International Journal of Humanities and Social Science, Vol. 2 №12 – Special Issue – June 2012.
31. Thomas H. Murray, On the Human Body as Property: The Meaning of Embodiment, Markets, and the Meaning of Strangers, University of Michigan Journal of Law Reform 20(4), 1987.
32. Scott R., The body as Property, Allen Lane, United state of America, 1981.
33. Skene L., Proprietary rights in human bodies, body parts and tissue: regulatory contexts and proposals for new law, The Journal of the Society of Legal Scholars, Vol.22, Issue 1, March 2002.

34. Skene L., Arguments against people "owning" their own bodies, body parts and tissue, Macquarie Law Journal, 2002.
35. Storrow R.L., The Erasure of Egg Providers in Stem Cell Science, University of Nebraska Press, A Journal of Women Studies , Vol. 34, No. 3, Special Issue: Reproductive Technologies and Reproductive Justice (2013).

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის №ას-296-624-07 განჩინება.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის №ას-125-120-2012 განჩინება.
3. Yearworth v. North Bristol NHS Trust: CA 4 Feb 2009.
4. R v Kelly & Anor, The British Court of Appeal, 14.05.1998, EWCA Crim 1578.
5. Moore v. Regents of the University of California, Supreme Court of California 1990.
6. R v Human Fertilisation and Embryology Authority; Ex parte Blood 1997, 2 A11 ER 687.
7. Parrillo v. Italy, Strasbourg, 27 August, 2015
8. Evans v. United Kingdom, The European Court of Human Rights, Strasbourg, 10 Apr.2007.

ელექტრონული მასალა

1. Hylton K. N., Property rights and the Human body, encyvlopedia.com <https://www.encyclopedia.com/politics/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/property-rights-and-human-body> [25.05.2019]
2. Barry V., Farman O., Human tissues as moveable property, 2016, <https://www.nortonrosefulbright.com/en/knowledge/publications/19138ccf/human-tissues-as-moveable-property> [18.06.2019]
3. Legal aspects, <http://www.drze.de/in-focus/organ-transplantation/legal-aspects> [29.06.2019].
4. Мустафаева А. И., Мамедов В. К., „Трансплантология: правовие и этические проблемы“. <http://www.anl.az/down/meqale/exo/2010/oktyabr/136095.htm> [30.06.2019]